140
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი

10
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინის დროშა

დროშა გადმოგვცა ლენინმა
სულ გამარჯვებებს ჩვეული,
დროშა ოქტომბრის ელვიდან,
სხვა დროშებს გამორჩეული.
დროშა წითელი ფერისა
სისხლშია ამონავლები,
გამოიარა ბევრი გზა
ღირსეულ შთამომავლებით.
ის ინდუსტრიის ცეცხლიდან,
ის სამამულო ომიდან,
ფერი არასდროს შესცვლია,
ჩვენამდე ისე მოვიდა.
... და ღირსეული თაობა
ვამაყობთ ახლა იმითაც,
რომ დროშას, ბევრჯერ ნაომარს,
ჩვენ კომუნიზმში მივიტანთ.

თამაზ მათირაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა



(საუბარი პირველი)

დღეს ჩვენ ვიწყებთ პირველ საუბარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის შესახებ.

რას ნიშნავს პროგრამა?

პროგრამა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს განცხადებას. არსებობს სასწავლო პროგრამა, რომელშიც გადმოცემულია საგნის მოკლე შინაარსი. ამ პროგრამების მიხედვით არის შედგენილი სახელმძღვანელოები და სკოლაში სწავლობენ ისტორიას, ფიზიკას, გეოგრაფიას და სხვა საგნებს. პროგრამა ეწოდება, აგრეთვე, განცხადებას, რომელშიც ჩამოთვლილია, მაგალითად, მხატვრული განყოფილების ცალკეულ შემსრულებელთა ნომრები.

მაგრამ, პროგრამას აქვს სხვა მნიშვნელობაც, რომლის გასარკვევად საჭიროა მოკლედ გავიხსენოთ ცოტა რამ ისტორიიდან.

შორეულ წარსულში, როდესაც პირველყოფილ ადამიანებს ქვის იარაღების, ხოლო შემდეგ მშვილდ-ისრის მეტი არაფერი გააჩნდათ, ისინი იძულებულნი იყვნენ ერთად ემუშავათ. ტყეში ნაყოფის შეგროვება, წყალში თევზის დაჭერა, საცხოვრებელი ბინის აშენება და მტაცებელ ცხოველებთან ბრძოლა — ყველაფერი ეს საერთო შრომით და გაერთიანებული ძალებით კეთდებოდა. ამის გამო იარაღებიც საერთო იყო. იმ დროს, **პირველყოფილი თემური** წყობილების დროს, კერძო საკუთრება არ არსებობდა. შემდეგ, ქვის იარაღების ნაცვლად გაჩნდა ლითონის იარაღები, განვითარდა მეჯოგეობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობა, გაჩნდა პროდუქტების გაცვლის შესაძლებლობა და მოხდა ისე, რომ ადამიანთა მცირე ნაწილის ხელში დაგროვდა სიმდიდრე: იარაღები, მიწა, ჯოგი, სახელოსნოები და სხვ. ამ მდიდარმა უმცირესობამ დაიმორჩილა ლატაკი უმრავლესობა და ისინი მონებად აქცია. მონათმფლობელს შეეძლო მონები გაეყიდა, ეყიდა და მოეკლა კიდეც. ასე გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები, სრულუფლებიანნი და უუფლებონი. ეს იყო **მონათმფლობელური** საზოგადოება, რომელშაც წარმოშვა კლასები, ანუ საზოგადოების ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ჯგუფები. სიმდიდრის უთანასწორო გაყოფის შედეგად ამ ჯგუფებს გაუჩნდათ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები. სწორედ ამ დროიდან იწყება სასტიკი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც შემდგომში სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. საზოგადოებრივი განვითარების მომდევნო საფეხურზე მონათმფლობელს ფეოდალი ცვლის, ხოლო მონას — ყმა. ეს უკვე **ფეოდალური** წყობილებაა. ამ დროიდან იწყება რკინის გამოდნობის და გადამუშავების შემდგომი გაუმჯობესება, რკინის გუთნისა და საფეიქრო დაზგის გავრცელება, მიწათმოქმედების, მებოსტნეობის, მეღვინეობისა და სხვა დარგების შემდგომი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის წელი XXXV

პიონერი 10 1961

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარება. მთელი ეს სიმდიდრე ფეოდალს ეკუთვნის, მაგრამ მას ამაოდ შეუძლია მოკლას ყმა, მისი ყიდვა-გაყიდვის უფლება კი მაინც დარჩა. უფრო გვიან, სახელოსნოების ნაცვლად ჩნდება დიდი ფაბრიკა-ქარხნები, სადაც მანქანებია მოთავსებული და ყმების ნაცვლად მუშაობენ დაქირავებული მუშები. ამრიგად, ყმას ცვლის დაქირავებული მუშა ანუ პროლეტარი, რომელსაც არავითარი საკუთრება არ გააჩნია და შიმშილით რომ არ მოკვდეს, იძულებულია თავისი სამუშაო ძალა მიყიდოს, ე. ი. მიაქირაოს კაპიტალისტს. დაქირავებულ მუშას კაპიტალისტი ხელფასს აძლევს და მისი უკვე არც ყიდვა-გაყიდვა შეუძლია და, მითუმეტეს, არც მოკვლა. ამგვარად, ფეოდალი შეცვალა კაპიტალისტმა, ანუ გაბატონებული კლასის წარმომადგენელმა, რომელსაც ეკუთვნის ფაბრიკები, ქარხნები, სამუშაო ანუ საწარმოო იარაღები და სხვა სიმდიდრე. ამ სიმდიდრის მეოხებით კაპიტალისტი ქირაობს მუშებს, ამუშავებს მათ ფაბრიკა-ქარხნებში და ღებულობს მოგებას, რასაც კაპიტალი ეწოდება. კაპიტალისტი სულ უფრო მეტი მოგების მიღებისაკენ მიისწრაფვის და ცხოვრების მძიმე პირობებს უქმნის პროლეტარიატს, რომელიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენს. ამიტომ, **კაპიტალისტური** წყობილების დროს სულ უფრო იზრდება მშრომელთა უკმაყოფილება და მწვავდება კლასობრივი ბრძოლა. ამ ბრძოლის დროს ირაზმება მუშათა კლასი. იგი ქმნის თავის პროფკავშირებს და პოლიტიკურ პარტიებს, იბრძვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მიზნები და ამოცანები 1848 წელს პირველად განმარტეს მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა **კარლ მარქსმა** და **ფრიდრიხ ენგელსმა,** რომლებიც „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ წერდნენ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. მუშათა კლასის ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ ხელმძღვანელობს პარტია. სიტყვა „პარტია“ ლათინურად ნიშნავს ნაწილს. მაშასადამე, პარტია არის კლასის ნაწილი, რომელიც ამ კლასის ინტერესებს გამოხატავს. მუშათა კლასის ასეთი მოწინავე ნაწილი არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც შექმნა **ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა.**

პარტია თავის საქმიანობას წარმართავს წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, რომელშიც ჩამოყალიბებულია ამ პარტიის მოღვაწეობის ძირითადი მიზნები და ამოცანები. ამგვარად, ჩვენ უკვე ვიცით, რომ პროგრამა ნიშნავს განცხადებას, მაგრამ ახლა, როცა ისტორია გავიხსენეთ, გავიგეთ პროგრამის სხვა მნიშვნელობაც და შეგვიძლია ვთქვათ: პროგრამა წარმოადგენს განცხადებას პარტიის მოღვაწეობის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

პირველი პროგრამა ბოლშევიკურმა პარტიამ მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე. იგი ითვალისწინებდა მეფის თვითმპყრობელობის, ხოლო შემდეგ კაპიტალიზმის დამხობას და პროლეტარიატის დიქტატურის ანუ პროლეტარიატის ხელისუფლების დამყარებას. ჯერ, 1917 წლის თებერვალში დაემხო მეფის თვითმპყრობელობა, ხოლო შემდეგ, 1917 წლის ოქტომბერში პროლეტარულმა რევოლუციამ მოსპო ხალხის საძულველი კაპიტალისტური წყობილება. ამრიგად, პარტიის პირველი პროგრამა შესრულებული იქნა.

მეორე პროგრამა 1919 წლის მარტში მიიღო პარტიის VIII ყრილობამ. ამ პროგრამაში პარტიამ წამოაყენა სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანა. საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული სოციალისტური მშენებლობის გეგმა და სოციალიზმმა საბჭოთა კავშირში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა. პარტიის მეორე პროგრამა აგრეთვე შესრულებულია.

ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო თავისი **მესამე პროგრამა** — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის მთავარ ამოცანებს და ძირითად საფეხურებს ანუ ეტაპებს. აი, რა წერია ახალი პროგრამის შესავალში: „პარტიის უმაღლესი მიზანია ააშენოს კომუნისტური საზოგადოება, რომლის დროშასაც აწერია: „თვითეულისაგან—უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“. მთლიანად განხორციელდება პარტიის ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“. კომუნიზმი იხსნის ყველა ადამიანს ჩაგვრისა და უთანასწორობისაგან, ომის საშინელებათაგან და დედამიწაზე დაამკვიდრებს მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ყველა ხალხის თანასწორობასა და ბედნიერებას“.

ახალი პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ **„კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა კაცობრიობის განვითარების გზაა“.**

ვისაც პროგრამის ამ ნაწილის შინაარსი ეცოდინება, იგი შეძლებს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რითაა გამოწვეული და რატომ არის აუცილებელი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა?

2. რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს ოქტომბრის რევოლუციასა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებას?

3. რას ნიშნავს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა და მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი?

4. რატომ ვითარდება მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობა და სულ უფრო ფართოვდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა?

5. რისთვის იბრძვიან კომუნისტები ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ და რატომ არიან ისინი მშვიდობიანი თანაარსებობისა და საყოველთაო მშვიდობის მომხრენი?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ყველა პიონერს უნდა შეეძლოს.

მაშ, ასე:

რითაა გამოწვეული და რატომ არის აუცილებელი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა?

საქმე იმაშია, რომ კაპიტალიზმი ფაბრიკებსა და ქარხნებში თავს უყრის მილიონობით მუშას, რომელთა ერთობლივი, ანუ საზოგადოებრივი მუშაობა, შრომას და თვით წარმოებასაც საზოგადოებრივ ხასიათს აძლევს. მაგრამ, იმის გამო, რომ მუშების ამ საერთო, ე. ი. საზოგადოებრივი შრომის შედეგებს კაპიტალისტი ითვისებს, იქმნება წინააღმდეგობა შრომის ანუ წარმოების საერთო, საზოგადოებრივ ხასიათსა და ამ შრომის მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. რაც უფრო მეტ მოგებას იღებს კაპიტალისტი, მით უფრო ნაკლები რჩება მუშას. კაპიტალისტი კი ცდილობს რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს. ეს იწვევს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესებას და მშრომელთა უკმაყოფილებას კაპიტალისტური წყობილებით. ამ უკმაყოფილებას მუშათა კლასი იმით გამოხატავს, რომ აწყობს გაფიცვებს და უარს ამბობს მუშაობაზე, მოითხოვს სამუშაო დღის შემცირებას და ხელფასის მომატებას. თანდათან ეს ბრძოლა პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს — მუშათა კლასი ცდილობს ძალაუფლების ხელში აღებას.

კაპიტალისტური ქვეყნების ლატაკ მოსახლეობას არა აქვს იმის საშუალება, რომ შეიძინოს საქონელი, რომელიც ჭარბად არის გასასყიდად. ამიტომ კაპიტალისტი საქონლის მაღალ ფასებში გასაღების საშუალებას სხვაგან ეძებს. იმ მიზნით, რომ უფრო ძვირად გაყიდონ საქონელი, იშოვონ იაფი მუშახელი, კაპიტალისტები იწყებენ ომს სხვა ქვეყნების დასაპყრობად. ასე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი 1914 წელს. ასე მოხდა ამ ოცი წლის წინათაც, როცა ფაშისტურმა გერმანიამ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. სიძვირისა და უმუშევრობის ზრდა, მუშათა კლასის ჩაგვრის გაძლიერება, იმპერიალისტური ომით წარმოშობილი საშინელება, უბედურება და გაჩანაგება, რასაც ყველაზე მძიმედ განიცდის მშრომელი მოსახლეობა — იწვევს კაპიტალიზმის მოსპობის აუცილებლობას. პროლეტარიატი ხდება კაპიტალიზმის მესაფლავე. რუსეთში, 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პირველად გაარღვია იმპერიალიზმის, ე. ი. კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი საფეხურის ფრონტი, მოსპო კაპიტალიზმი და დაამკვიდრა პროლეტარიატის დიქტატურა.

ახლა, ოქტომბრის რევოლუციისა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული მაგალითი მსოფლიოს მშრომელებს უჩვენა რუსეთის მუშათა კლასმა, რომელმაც ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი პარტიის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში 1917 წლის ოქტომბერში და პირველმა დააარსა ახალი ტიპის მუშათა და გლეხთა სახელმწიფო—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ყოველივე ამის შედეგად კაპიტალისტებს ჩამოერთვათ ფაბრიკა-ქარხნები და ისინი ხალხის საკუთრებად იქცნენ. მოისპო მემამულეთა მიწათმფლობელობა და მიწა გლეხებს დაურიგდა. ოქტომბრის რევოლუციამ ისტორიაში პირველად გაათავისუფლა ქალი და მას მამაკაცის თანაბარი უფლებები მიანიჭა. ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობამ ძირფესვიანად შეარყია მსოფლიო კაპიტალიზმი და დაამტკიცა, რომ კაპიტალისტური წყობილების დამხობა შესაძლებელია. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსხვილი თანამედროვე მრეწველობა და მექანიზებული სოფლის მეურნეობა, დიდად განვითარდა მეცნიერება, ტექნიკა, ლიტერატურა და ხელოვნება. სსრ კავშირში განხორციელდა სოციალიზმის პრინციპი „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს შრომის მიხედვით“. ეს პრინციპი სავსებით უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა მატერიალურ დაინტერესებას შრომის შედეგებით,

რადგან მშრომელებმა იციან, რომ ისინი მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავიანთთვის და საფასურს გაწეული შრომის მიხედვით ღებულობენ.

სსრ კავშირის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია ბოლო მოუღოს ადამიანის მიერ ადამიანის შრომის მითვისებას და საზოგადოების მცირე ნაწილის გამდიდრებას დიდი უმრავლესობის გაღატაკების ხარჯზე, რომ სოციალიზმს შეუძლია მოსპოს უმუშევრობა, სიღარიბე და მიაღწიოს ხალხის ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას. სსრ კავშირის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ახალი საზოგადოების შექმნა მუშათა კლასს შეუძლია მხოლოდ მტკიცე კავშირით მთელ მშრომელ მასებთან, პირველ რიგში გლეხობასთან, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ქმნის ყველა შესაძლებლობასა და პირობას ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, რომ სოციალიზმის ძლიერება მშვიდობის საქმეს ემსახურება. სსრ კავშირის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სოციალისტური საზოგადოების შექმნასა და განვითარებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის კომუნისტურ პარტიას.

„საბჭოთა ხალხს, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში, — წილად ხვდა საზოგადოებრივი განვითარების ახალი გზის გაკაფვაში წამომწყების, პიონერის ისტორიული როლი“. და შემდეგ: „საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგად **კაცობრიობამ მიიღო რეალურად არსებული სოციალისტური საზოგადოება და გამოცდილებით შემოწმებული მეცნიერება სოციალიზმის აშენების შესახებ. სოციალიზმის მთავარი გზა გაკაფულია.** ამ გზას ადგას უკვე ბევრი ხალხი, ამ გზას ადრე თუ გვიან დაადგება ყველა ხალხი“.

აი, რაშია ოქტომბრის რევოლუციისა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

ახლა კი ვუპასუხოთ კითხვას: რას ნიშნავს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა და მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი?

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა — ესაა სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით მომავალი თავისუფალი და დამოუკიდებელი ხალხების სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური თანამეგობრობა. ისინი გაერთიანებული არიან საერთო ინტერესებისა და მიზნების მჭიდრო კავშირით. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ხოლო უფრო ადრე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხები, რომლებმაც საბჭოთა კავშირთან ერთად შექმნეს სოციალისტური ბანაკი ანუ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. სოციალისტურ ქვეყნებს აქვთ ერთი ტიპის ეკონომიური საფუძველი — საზოგადოებრივი საკუთრება; ერთი ტიპის სახელმწიფოებრივი წყობილება — ძალაუფლება ხალხისა, რომელსაც სათავეში უდგას მუშათა კლასი; ერთიანი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი და ერთიანი დიადი მიზანი — კომუნიზმი. ყოველივე ეს ქმნის სოციალისტური ქვეყნების ერთიანობას და მტკიცე მეგობრული ურთიერთობის საფუძველს.

ამჟამად, კაცობრიობის ისტორიული განვითარების მთავარ შინაარსს, მთავარ მიმართულებასა და მთავარ თავისებურებებს განსაზღვრავენ მსოფლიო სოციალისტური სისტემა და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის მებრძოლი ძალები. ამ გარემოებამ შეასუსტა კაპიტალიზმი, რასაც შედეგად მოჰყვა შინაგანი მერყეობის გაძლიერება, კაპიტალისტური ეკონომიკის მოშლა, უმუშევრობა, შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლის ზრდა, კაპიტალისტური მეურნეობის წინააღმდეგობათა მკვეთრი გამწვავება და ბურჟუაზიულ „თავისუფლებებზე“ უარის თქმა, ანუ მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი. კაპიტალიზმის საერთო კრიზისს დასაბამი მისცეს პირველმა მსოფლიო ომმა და ოქტომბრის რევოლუციამ. შემდეგ, ევროპისა და აზიის ქვეყნებში მომხდარმა სოციალისტურმა რევოლუციებმა, რასაც შედეგად სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა მოჰყვა, ახალი მძლავრი ლახვარი ჩასცეს იმპერიალიზმს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებას. ევროპისა და აზიის ქვეყნებში მომხდარი რევოლუციები მსოფლიო ისტორიის ყველაზე დიდი მოვლენაა 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში, მეორე მსოფლიო ომისა და ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციების მსვლელობის დროს, დაიწყო კაპიტალიზმის კრიზისის მეორე ეტაპი. ამჟამად კაპიტალიზმი შევიდა ამ კრიზისის მესამე ეტაპში. მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის დამახასიათებელი ნიშნებია: კაპიტალიზმისაგან სულ ახალი ქვეყნების ჩამოცილება, კოლონიური სისტემის დაშლა, პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის წინააღმდეგობისა და ბრძოლის ზრდა, მშრომელთა



მდგომარეობის გაუარესება, უმუშევრობა და სხვ. ყველაფერი ეს იწვევს მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდას, რისთვისაც ახლა უფრო ხელსაყრელი ვითარებაა შექმნილი. მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის განვითარებას ხელს უწყობს სსრ კავშირისა და მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმატებები, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავება და ხალხში კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდა.

სოციალიზმის გამარჯვებამ და კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავებამ, რასაც შედეგად მოჰყვა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდა, გამოაღვიძა აზიისა და აფრიკის დამონებული ქვეყნები, კოლონიები და ნახევრადკოლონიები, --ასე უწოდებენ კაპიტალისტები მათგან პოლიტიკურად და ეკონიურად დამოკიდებულ ქვეყნებს, რომელთა ხალხები ახლა გმირულად იბრძვიან უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგად ყოფილი კოლონიების და ნახევრადკოლონიების ადგილას შეიქმნა და იქმნება ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ომისშემდგომ წლებში აზიასა და აფრიკაში 40-მდე დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა. მარტო 1960 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა აფრიკის 16 ქვეყანამ. ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი გამარჯვებაა.

ამრიგად, თანამედროვე ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, არის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების — ბრძოლის ეპოქა. იგი არის სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის მსხვრევის, კოლონიალიზმის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა. ეს ეპოქა ხასიათდება კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების გააფთრებული ბრძოლით. კაპიტალისტები ცდილობენ სახელი გაუტეხონ კომუნიზმს, ცილი დასწამონ სოციალისტურ წყობილებას, დაამახინჯონ კომუნისტური პარტიების მიზნები და დაიცვან კაპიტალისტური წყობილება. ისინი იგონებენ ახალ „თეორიებს“ და ცდილობენ შეალამაზონ კაპიტალიზმი, ამტკიცებენ თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმი გახდა „სახალხო კაპიტალიზმი“, რომელშიც ქრებიან კლასები, „თანაბრდება შემოსავალი“ და ისპობიან კლასობრივი წინააღმდეგობანი. ისინი თანამედროვე კაპიტალიზმს „თავისუფალ სამყაროს“ უწოდებენ და ატყუებენ მშრომელ ხალხს. კომუნისტებს კი არ სურთ მოატყუონ ხალხი და სწორედ ამიტომ მიმდინარეობს თანამედროვე მსოფლიოში გააფთრებული ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და კომუნისტურ იდეოლოგიას შორის. მაგრამ საწინააღმდეგო იდეების ბრძოლა სრულიადაც არ ნიშნავს საერთაშორისო ხასიათის სადავო საკითხების ომის საშუალებით გადაჭრას. სოციალიზმს არ ესაჭიროება ომები თავისი იდეალების გასავრცელებლად. ძველი წყობილების წინაშე სოციალისტური საზოგადოების უპირატესობა გამოიხატება სახელმწიფო წყობილებაში, ხალხის ცხოვრების დონისა და სულიერი კულტურის აღმავლობაში. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იცავს სხვადასხვა წყობის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს. ეს პრინციპი საფუძველია საერთაშორისო მასშტაბით სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის მშვიდობიანი შეჯიბრებისა, რომლის დროსაც იქმნება უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობანი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლისათვის, ადვილდება კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ბრძოლა თავიანთი განთავისუფლებისათვის. აი, რისთვის იბრძვიან კომუნისტები ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ და რატომ არიან ისინი მშვიდობიანი თანაარსებობისა და საყოველთაო მშვიდობის მომხრენი.

ასეთია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტის პროგრამის პროექტის პირველი ნაწილის შინაარსი, საიდანაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა კაცობრიობის განვითარების გზაა.

ოთარ ქინქლაძე

ნახ. **თ. ხამხოშაძისა**





პიონერული საჩუქრები ეპოქალ[illegible]ოვანი პარტიის XXII ყრილობის

წიგნიკეთ

მნიშვნელოვანი წელილი

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ეს კარგად იციან წელეულეთის რაიონის სოფელ ივანდიდის შვიდწლიანი სკოლის ნორჩმალეწინელებმა. რა დროსაც არ უნდა ეწვიოთ ჩაის პლანტაციებს, იქ მრავალ მოსწავლეს ნახავთ.

— რამდენი? — ეს სიტყვა ხშირად გაისმის სოფელში. ასე ეგებებიან ერთმანეთს პლანტაციებიდან მომავალი ნორჩი მეჩაიეები.

ეს შეკითხვა განმარტებას არ თხოულობს — ყველამ იცის, თუ რას ნიშნავს — რამდენი კილოგრამი ჩაის ფოთოლი შემატე სახალხო დოვლათს. და პასუხიც ყოველთვის ჩინებულია: — შვიდი, ათი, თხუთმეტი...

ჩაის კრეფის საქმეში ივანდიდის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა მთელს რაიონში. ამაში კი დიდი წელილი პიონერებსაც აქვთ — მათ ათი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს.

სამგორი

პიონერული მეურნეობა

მთის ფერდობზე ცხერის პატარა ფარა შეფენილა. მწყემსები პიონერები არიან. ცხვარს გასართობად როიი ეფლიან. ეს 78 სული 10 დედაცხვრის ნაბატია, თან რაც გაიგალაწყვნეთ, ორმ პიონერული მეურნეობა მთლიანად აკმაყოფილებს

სამავშვო სახლის მოთხოვნილებას, სამზარეულოს ზარაფთა და რძით ამარაგებს.

ნორჩ მეცხოველეებს საჭონელი ბაგურ აყვანაზე ჰყავთ დაყენებული, ფარეზე ეწვდიან ნოიეერ საკვებს და ახალი ცხელი რძეც ბლომად აქვთ. ძნელია იმის თქმა, თუ ვის უფრო უყვარს თავისი გაზრდილი „ნიმა", „ნიკორა" თუ „ეწამლა".

მეცხაურნეობის, მეცხოველეობის, მელოდრეობის ფერმებში მორიგეობაა დაწესებული. პიოსეროვს უფიგართ იქ ყოფნა და მეშობა. ბევრი მათგანი ადგილ მომავალში რომელიმე დიდი საკოლმეურნეო ფერმის მეწინავე მეურეი ექნება.

პიონერული მეურნეობიდან სახელმწიფო მიიღებს ტონანახევარ ხორცს, 3 ტონა ქსელს!—ასეთია ნორიოოს სამავშვო სახლის ალსაზრდელთა პატაკი მშობლიური პარტიის XXII ყრილობისადმი.

მარცვლოვან კულტურებს აქ ხაცდელად ოუხავენ და ეფლიან მუხრანელი პიონერები.

ერთიფულად მწყემსავენ სამავშვო სახლის ცხვრის ფარას პატარა ნორჩიოელები.

ბოლნისი

დეკ. იშრიელონ კაკალის ხეებმა!

თქვენში უნდა შრიალებდნენ კაკლის კორომები! — თქვა ნ. ს ბრუმჩოვმა საქართველოში ყოფნისას. და აი, ბოლნისელი პიონერები საქმიანად გამოეხმაურნენ ამ პოეზიებას. საკვლელ ნაკვეთზე კაკლის სანერგე მოაწყეს.

ავდე გაზაფხულზე დათესეს დარჩენელი კაკალი, საგულდაგულოდ მოეფარეს. მორწყეა, მიწის გაფხვიერება, ირიგური დაეკლათ, ათასობით ნორჩი ნერგი ამოიწვერა მიწიდან, წყვიოიზარეა.

„ტეხის დღეს" კი დაბის შარაზე მწყობრად მომავალი პიონერები გამოჩენდნენ. ცალ ხელში ბარი ეკავათ, მეორეში კი კაკლის ნერგები.

2.200 კაკლის ხე დარგეს იმ დღეს პიონერებმა ქეჩებსა და ეზოებში. გაიზრდებიან, მზარს ვაშლიან, მიდამოს დაამშვენებენ... ყველამ, ყველამ იცოს ბოლნისში, რომ ეს ხეივნები პიონერული ორწლედის სახელს ატარებს და ორწლედის საუკეთესო სახსოვრადაც დარჩება.

ძრომხეიც შორიდან ცქერენ ბენ ნორჩ მეცხოველეებს.

ამაყოფილნი არიან მუხრანელი პიონერები—ორწლედის სახელობის ვენახმა ჩინებულად ისარგებლა.

ჩუეეუაშვილებს ორორი ხბო ყავათ გასპორტებული გასაზრდელად.

მეექვსეკლასელეები კი მეფინნველეობის ფერმაზე შეფინეს. ასეთი 700 ფრთა ქათამს ეკლიან.

კარგი შრომითი საქმეებით აღნიშნეს ორწლედის პიოეელი წელი მუხრანელმა პიონერებმა.

ბ. ბაბატაძე

მეცხოველეობა

შრომისმოყვარე მუხრანელები

ვეენახი, რომელიც მეცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის საშუალო სკოლის პიონერებმა გაიშენეს, „პიონერული ორწლედის" სახელს ატარებს. გატაკეებით დატრიალებენ თავს ეიზის ნორჩ ყლორტებს ბუნების ნორჩი გამოდმეზნელები. საუკეთესოდ ახარონ ყოველი ძირი, მალალი ბუნ, ყანებში. პატარები არიან, მაგრამ გაბა მეკრე დახმარება გაუწევიათ უფროსებისათვის ინტერის პლენომის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად!

პიონერებმა 20 ჰექტარ სიმინდის ყანას მოუარეს და მალალი მოსავალიც მოიწიეს. ნორჩმა მეაბრეშუმეებმა 40 გრამი აბრეშუმის ბარი გამოკვებეს.

პიონერები მეცხოველეობის ფერმის ხმირი სტუმრები არიან, კოლმეურნეების ახალშობარდეულს მოვლაში ეხმარებიან,—ასეფდოკვებენ საწყობებს, გადააქვთ საკვები და სხვ. გრიგოლ სირბილაძეს, ანა სტეფანოვას, თინა კოდუას, მიხეილ და თინა

მეცხოველეობა

მთების გულში

ამ დღეს ბევრი იარა დიმიტრი ჯაფარიძემ. ჭერ ცოტი ღარიბაშვილს მიაკითხა, მერე გელოკო ფილფანიაკენ ჩაუხვია.

— შრომა მოგველის, გაბუტრებელ შრომა. ხუმრობა საქმე ხომ არაა, სკოლის ახალი შენობა შენდება მესტიაში! აბა, რომ პიონერები ვართ, ტყუილად ხომ არ გვიწყვალია სკოლაში ხელობა.

ფოდნენები, რასაკვირველია, იწყამმსვე დათანხმდნენ. მერე მთიაც შემოირბინეს მთელი მესტია. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტიელმა პიონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ ახალი სკოლის მშენებლობაში.

აფრთხილეს მეგობრები. დილით კი, როცა მზე თეთნულდის ზემოთ ამოიწვერა, პიონერთა პირველი რაზმები უკვე მშენებლობისაკენ მიდიოდნენ. დიმიტრიმ სახელდახელოდ ლოზუნგი დაწერა: „ახალი პიონერული საქმეებით ვხვდებით პარტიის XXII ყრილობას“. პლაკატი გულიკომ და ციურიმ წაიღეს, მშენებლობის ზემოთ, ორ ნაძვს შორის დაამაგრეს. მერე მშენებლებიც მოვიდნენ. მოგრიალდნენ სატვირთო მანქანები. გოგო-ბიჭები მაშინვე მანქანების დაცლას შეუდგნენ. ნიკო ძარაზე აძვრა. ხელი ჩაკიდა თეთრ ქვას და ძირს გადმოაგორა. ნიკოს სხვებიც მიეშველნენ.

— ნელა იმუშავეთ, ბავშვებო, ნელა, არავინ მოგდევთ, საქმეც ბევრი გექნებათ, — თქვა მანქანის მძღოლმა და ღიმილით გადახედა მოფუსფუსე პიონერებს. ძირს მყოფნი მიწაზე ჩამოყრილ ქვებს მიესივნენ, სწრაფად იტაცებდნენ და ქვისმთლელებისაკენ მიჰქონდათ. ქვისმთლელებიც იმწამსვე იწყებდნენ თლას. იქით კიდევ, ბალავერის მთხრელები ჩაებნენ საქმეში. სანამ ბალავერის გათხრას დაიწყებდნენ, მშენებლებმა გულდასმით გადაზომეს ეზო, დახაზეს იქაურობა და შემდეგ ბარიც დაჰკრეს. პირველი ბარი ყველაზე მოხუცმა მშენებელმა დაჰკრა.

ასე ჩაეყარა საფუძველი მესტიის ახალი სკოლის მშენებლობას. მოსწავლეთა საქმიანობა აქ თითქოს სტიქიურად დაიწყო. დიმიტრიმ მოიფიქრა, რომ მოსწავლეებსაც მიეღოთ მონაწილეობა მშენებლობაში. მისი ჩანაფიქრი სხვებმაც მოიწონეს და აი, საქმესაც შეუდგნენ. მოსწავლეებმა ბრიგადები ჩამოაყალიბეს. შრომობდნენ დაუღალავად. ნელ-ნელა მიიწევდა ქვის კედლები ზევით და ზევით. მალე მეორე სართულიც აღიმართა. შემდეგ შიდა სამუშაოები დაიწყო და აქაც ისახელეს თავი პატარებმა.

— აქ პიონერთა ოთახი გვექნება, — თქვა ნუგზარ გაბლიანმა.

— პიონერთა ოთახში მე ჩემს ნახატებს გამოვფენ. ეს იქნება ჩემი პირველი გამოფენა მესტიაში, — ამბობდა ღიმილით დიმიტრი. დიმიტრი ძალზე მუყაითი მხატვარია. ბევრჯერ უნახავთ იგი მეგობრებს ენგურის ნაპირას პალიტრით ხელში.

სასწავლო წლის დაწყების წინ სკოლის მშენებლობა დამთავრდა. შემდეგ მანქანებმა მერხები და დაფები მოიტანეს. ბავშვებმა სწრაფად დაალაგეს საკლასო ოთახები. სკოლა სკოლაა, მაგრამ სკოლას ხომ ეზოც აქვს და მასაც უნდა მოვლა. პიონერებს არც ეს დავიწყებიათ. გულიკო და ციური წელს ფშავში იყვნენ, ვაჟას სამშობლო ჩარგალში. აქ ისინი ნორჩ ტურისტთა შეკრებაზე ჩამოვიდნენ. ფშავში მათ ბევრი კარგი ყვავილის თესლი შეაგროვეს და შემდეგ, როცა უკან დაბრუნდნენ, მესტიაში ჩამოიტანეს, ახალი სკოლის ეზოში დათესეს. კარგად გაიხარეს ყვავილებმა.

მარტო სკოლაში როდი საქმიანობდნენ მესტიელი გოგო-ბიჭები. ისინი კოლმეურნეებსაც ეხმარებოდნენ შრომაში. ერთ დღეს მათ საკმაოდ გრძელი გზა გაიარეს: გასცდნენ მესტიას, ლენჯერს, ლატალს და ბეჩოში ჩავიდნენ. ბეჩოში კი საქმე ბევრი იყო. დიმიტრიმ აქაც აღმართა თავისი პლაკატი. ჯერ პურეულის თიბვაში უნდოდათ მიხმარებოდნენ კოლმეურნეებს, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შეაჩერა ისინი:

— თქვენ ჯერ პატარები ხართ, ცელი სათქვენო საქმე არაა. თავთავების აკრეფაში მოგვეხმარეთ.

დაფაცურდნენ ბავშვები. უკან მიჰყვებოდნენ მცელავებს — კრეფდნენ მწიფე თავთავებს, მერე მიჰქონდათ და კალოზე ყრიდნენ.

დიმიტრი სადღაც გაუჩინარდა. ბოლოს, შენიშნეს. პატარა გორაკზე ასულიყო, გაეშალა თავის პალიტრა და ხატავდა მწვერვალებს. ფერები ნელა გადადიოდნენ მუყაოს ქაღალდზე. აი, პატარა გულბა, უნაგირა, უშბა. გოგონები ჩუმად წამოეპარნენ მხატვარს. ციურიმ მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ყოჩაღ, დიმიტრი, ყოჩაღ, მშვენივრად დაგიხატავს!

დიმიტრი კი იდგა დინჯად და მოჭუტული თვალებით შეჰყურებდა სურათს. ამასობაში გოგო-ბიჭების ერთი ჯგუფი ტყეში წავიდა ფიჩხის შესაგროვებლად. მოჰქონდათ ხმელი ტოტები და ერთ ადგილას ახვავებდნენ.

მზე ტყით შემოსილ გორებს მიეფარა. ნელა წვებოდა ბინდი ხეობაში. სახლებში აინთო ელნათურები. პიონერებმა კი კოცონი ააბრიალეს. ცეცხლის ენები სულ მაღლა და მაღლა მიისწრაფვოდნენ. კოცონთან სხვებიც მოვიდნენ — ბეჩოს მცხოვრებნი, ახალგაზრდებიც, ხანშიშესულებიც, ყველანი, ვინც თავის გამრჯე მარჯვენას ატრიალებდა სამკალში. მერე დაიწყო საინტერესო ლეგენდებისა და ზღაპრების თხრობა. ზოგი რას ყვებოდა, ზოგი კიდევ რას. ბავშვები სულგანაბულნი უსმენდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე დღეს კი, როცა მესტიაში დაბრუნდნენ, მოხუცების ნაამბობი ქაღალდზე გადაიტანეს. თანაც პიონერთა საქმიანობის დღიურში ჩაწერეს: „ვიყავით ბეჩოში, დავეხმარეთ კოლმეურნეობას მოსავლის აღებაში, შევაგროვეთ ლეგენდები და ზღაპრები“.

ერთ დღეს, იქ, სადაც მესტიის ჰიდროელექტროსადგური შენდება, კვლავ გამოჩნდნენ პიონერები. ზოგს წერაქვი მოქონდა, ზოგს თოხი, ზოგსაც ბარი. მოვიდნენ და ხალისი აქაც მოჰფინეს. პირველად მხოლოდ მიწის თხრაზე მუშაობდნენ. მერე „აჯანყდნენ“ ნორჩი ხელოსნები: „ჩვენ რა, სკოლაში ტყუილად კი არ გვისწავლია ხელობა. აქ ბურთიც არის და მოედანიც. ჩვენც გვინდა ვაჩვენოთ როგორი შენება ვიცითო“. მართლაც, ისე კარგად აჰყავდათ კედელი, რომ ძველი კალატოზებიც გაოცდნენ. ძია მუშნიმ, რომელსაც კირით დათხუპნული წინსაფარი ეკეთა, წვერზე ხელი ჩამოისვა და თქვა: — დაგელოცოთ მარჯვენა, მშვენივრად აშენებთ. ბარაქალა თქვენს შრომას!

მუყაითად შრომობენ მესტიელი პიონერები, ცდილობენ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება: სასახელო საქმეებით შეხვდნენ მშობლიური პარტიის XXII ყრილობას.

ნაბი ხაზრი

ნახ. გ. თოთიბაძისა

ჰე, ბერძენო ყმაწვილო,
ბიჭო, თვალებბრიალა,
პირზე ღიმი გიკრთება,
მწუხარება კი არა.
გული მუდამ მიგიწევს
მზისკენ გასაფრენადა,
გიყვარს შენი მამული,
შენი ძველი ელადა!
ეგეოსის ზღვა ღელავს,
გადმოლახავს ნაპირებს,
ბევრი რამის მომსწრეა,
თქმას კი სულ არ აპირებს.
გიკვირს, ზოგან დღე არის,
ათენში კი ბინდია,
შენი ბედი, ბიჭუნა,
ვისათვის მიგრნდვია?
საბერძნეთი განთქმულა
ლეგენდარულ გმირებით,
საამაყო წარსულით,
დადაფნული დიდებით.
რად ჩაგიდგა თვალებში,
ბიჭო, სევდა-ნაღველი,
ასახელე სამშობლო,
წინაპართა სახელი.
შენი ხალხი მღეროდა
წინათ ფერად სიმღერებს,
ახლა შენი თვალები
მწუხარებას მიმხელენ.
იქნებ ის სიხარული
უცხოელმა მოგტაცა?
გადაიცვი აბჯარი,
გადაიქეც ლომკაცად!
არ დაუთმო გარეშეს
მიწა-წყალი, მამული,
ბერძენ ქალთა, დედათა
ცრემლით გადანამული.
შენი ქვეყნის სახელი
სად განთქმულა, სად არა,
ჯერ შენ ბევრი არ იცი,
შავო ბიჭო, პატარა!
აქვე, ყოველ ნაბიჯზე
ისტორიის კვალი ჩანს,
მამა-პაპათ არ ეგოთ
გზაზე რბილი ხალიჩა.
სულ აბჯარში ისხდნენ და
ხმალი ხმალზე ელავდა,
რომ დაეცვათ სამშობლო,
ძველთაძველი ელადა.
მატიანე რჩეული
პართენონის ქვებია,
ღირსსახსოვარ დღეთაგან
ცეცხლი შემონთებია.
დღე დღეს გაჰყვა კვალდაკვალ,
დღე დღეს მისდევს ფეხდაფეხ...
მე ამ მიწის პატრონად
შენ გიგულებ, შენ გნახე.
მომავალი შენია,
დაუღლელო მშრომელო,
თქვი, რა პასუხს გასცემდი
მკვდრეთით აღმდგარ ჰომეროსს?
გული მუდამ მიგიწევს
მზისკენ გასაფრენადა,
გიყვარს შენი მამული,
შენი ძველი ელადა!

აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერაძემ

შემოდგომის სუნთქვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ნახ. ედ. ჯაბოკავაძისა

მაყვალა ფრაველიშვილი

შემოდგომა

დახუნძლული ვენახების
კარი არის ღია;
აქეთ კვახის გორებია,
იქით ვაშლი ყრია.
დაკრიფეთო!—ხეხილები
ტოტებს დაბლა ხრიან.
ქარვისფერი, მელნისფერი
სიტკბო უდგას მტევანს.
კალათები მივაშველეთ,
ალარ არის ტევა.
საწნახელში—ტაშფანდურა,
ზვრებში—ღამის თევა.
გზას ვერ ვუქცევ
გოდრიანი მანქანების გრიალს.
უფრთხი თავზე გადმომზირალ
მუშტისტოლა ქლიავს,
და ფოთლები ცეცხლისფერი
ორღობეში ქრიან...
ამას ჩვენი დალოცვილი
შემოდგომა ჰქვია.

რთველი

— რთველში, რთველში დაგვეწვიეთ!
ყოველ კუთხით გაისმის.
პატარებსაც აგვიტაცებს
ამ ყურძნობის ხალისი.
ბებიას რომ დავეხმარეთ,—
თხილს და ნიგოზს ვურჩევდით,
ახლა ბებო გაგვახარებს
გემრიელი ჩურჩხელით.
შექანდება ხეივანი
ნიავ-ქარის შესევით
და ზედიზედ ეტყუპება
ჩურჩხელები სველ-სველი.
ოჰ, ერთმანეთს აკოცესო!—
გავაშველეთ ბავშვებმა...
დაუქროლე, ნიავ-ქარო,—
უფრო მალე გაშრება.
მოსაკითხებს გავუგზავნი
ჩემს გულითად მეგობარს.
დაშაქრული ჩურჩხელები
მერმისამდეც მეყოფა!

ოქთხვევა ქოჩორა გორაზე

ივ. ურჯუმელაშვილი

მოთხრობა

ნახ. ჯ. ლოლუასი

მოსაღამოვებისას თოვლით დაფარული მწვერვალებიდან ხეობაში ბურუსი ჩამოწვა. ციგაობით მოღლილ-მოქანცული ბიჭები სახლში ბრუნდებოდნენ. ისინი ოთხნი იყვნენ: კობა, ზურა, გელა და პატარა ცოტნე.

— ბიჭებო, მოდით ტყეში წავიდეთ და ბებია თეკლეს შეშა ჩამოვუტანოთ, — უთხრა ამხანაგებს ზურაბმა, რომელიც ბიჭებს წინ მიუძღოდა და სამხედრო მარშს უსტვენდა.

— ერიჰა, რახანია ასე გავიძახით, მაგრამ ისე დაგვიზამთრდა, მოხუცს ერთი გუდურა შეშაც ვერ მივუტანეთ, — თქვა კობამ. იგი გაბედული და სიმართლისმოყვარე ბიჭი იყო, მის ბავშვურ საქციელსა და კილოს რაღაც ახლდა ბრძანებლური, მორჩილების გამომწვევი. ამხანაგებს სჯეროდათ მისი და ყოვლისშემძლედ თვლიდნენ.

— ბიჭებო, თუ წავალთ, ქოჩორა მთაზე ავიდეთ, ამბობენ იქ ხმელი საგუდურე შეშა იცის, თანაც, თურმე, იქიდან კარგად მოჩანს საზღვარი.

— ქოჩორა მთაზე წასვლას რა სჯობია, მაგრამ, ვაი თუ მგლების ხროვას ან დათვს გადავეყაროთ, — წაილაპარაკა ცოტნემ.

— ეგრე რომ იქახო, ესაო, ისაო, მაშინ, ბარემ ბებიაშენს ჩაუჯექი კალთაში და გარეთ სულაც ნუ გამოადგამ ფეხს. ემანდ ნიავმა არ დაგკრას და არ გაცივდე, — გადაიხარხარა ზურაბმა და ცოტნეს თვალებზე ქუდი ჩამოაფხატა.

— სასაცილო არაფერია, — მხარზე ხელი დაარტყა გელამ, — ამბობენ, ახლომახლო მგელიც ბუდობს და დათვიც. ისე რომ, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. კარგი იქნება, თუ თან სანადირო თოფს წავიღებთ.

— თოფის წამოღება ჩემზე იყოს, ბიჭებო, — შესძახა კობამ.

— ამას რა სჯობია! თუ თოფი გვექნება, ვერც მგლები შემოგვიბედავენ, ვერც დათვი დაგვაკლებს რამეს, — თქვა გელამ.

მეორე დღეს ცა მოწმენდილი იყო. ცივი ქარი უბერავდა. თოვლს მინდორ-ველი გადაეთეთრებინა.

დათქმულ ადგილზე პირველად კობა მოვიდა. მხარზე ცალლულიანი სანადირო თოფი ეკიდა. წელზე შემორტყმული ფალასკა ხალვათად ადგა. დიდი კაცივით სცემდა ბოლთას და სოფლის გზას გასცქეროდა.

მალე ზურაბიც გამოჩნდა. მხარზე გრძელ ჯოხზე წამოცმული, ადამისდროინდელი ხიშტი გაედო, თავზე მამისეული ფაფახი ეხურა, რომელიც თვალებზე ჩამოფხატოდა და საფეთქელთანღა უჩანდა შავი, დახუჭუჭებული თმა. აღლუმზე მიმავალი ჯარისკაცივით თავმომწონედ მიაბიჯებდა, გაჭიმული და თავაწეული.

ზურაბს შუაგზაზე გელა წამოეწია. ძველებური დურბინდი ეკიდა, ხელში პაპის კომბალი ეჭირა და ჯამბაზივით ატრიალებდა.

სულ ბოლოს ცოტნე მოაბიჯებდა, მაგრამ ცოტნე ცოტნეს აღარ ჰგავდა. მეთხილამურის კოსტუმის მსგავსი მწვანე შარვალ-ხალათი ჩაეცვა, შარვალ ჩექმებში ჩაეტანებინა, წელზე ხელისგულის სიგანის ქამარი შემოერტყა, რომელზეც ურმის ტაბიკივით ჩამოკონწიალებული გრძელი ხანჯალი ფეხებში ედებოდა და სიარულს უშლიდა.

ბიჭები ერთმანეთს მიესალმნენ და გზას გაუდგნენ.

მაღალია ქოჩორა მთა. ასე იმიტომ შეურქმევიათ, რომ მის მწვერვალზე ჯგუფად მდგარი ნაძვის ხეები ოცი წლის ჭაბუკის ქოჩორივით მოჩანს დაბლიდან.

ბიჭებმა თითქმის ორი საათი იარეს შეუსვენებლად. განვლეს მინდორი, გადალახეს ხევები, გადაიარეს გორები და ქოჩორა მთას მიადგნენ.

ყველაზე მეტად ცოტნე დაიღალა. ცალკე შიმშილი აწუხებდა, ცალკე წყურვილი და წუთი-წუთზე ელოდა, როდის შეისვენებდნენ. მაგრამ ბიჭები მიდიოდნენ და მიდიოდნენ, შესვენებაზე არავინ ფიქრობდა.

— შევისვენოთ, — თქვა ზურაბმა.

ბავშვები წიფლის ძირას ჩამოსხდნენ. ჩანთიდან საგზალი ამოიღეს და ჭამას შეუდგნენ.

— ასეთი მადა არასოდეს მქონია. როგორ მოვტყუვდი, ნეტავი ცოტა მეტი წამომეღო საგზალი, — ბუტბუტებდა ცოტნე.

— საგზალს გაუფრთხილდით, ბიჭებო, მწვერვალზე რომ ახვალთ მადა მაშინ იკითხეთ! — აფრთხილებდა ამხანაგებს ზურაბი.

* * *

საუზმის შემდეგ ზურაბი განზე გადგა. უცებ ბუჩქებს იქით ვიღაცის ძახილი გაიგონა.

სმენად იქცა, კისერწაგრძელებული იქით იხედებოდა, საიდანაც ყვირი-

ლი გაიგონა. ძახილი კვლავ განმეორდა და დაფეთებული ზურაბი ამხანაგებისაკენ გაიქცა.

— ბიჭებო, აი, იმ მხრიდან, — აცახცახებული ხელი იქით გაიშვირა, საიდანაც ხმა მოესმა, — კაცის ხმა გავიგონე! ბიჭები სმენად იქცნენ, მაგრამ ვერაფერი გაიგონეს. არაფრად ჩააგდო ზურაბის ნათქვამი გელამ.

— ალბათ, მოგეჩვენა, — თავის მხრივ უთხრა კობამ.

— დედას გეფიცებით, გარკვევით გავიგონე.

ბავშვებმა რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგეს და დადუმებულ ტყეს ყური მიუგდეს. ტყის სიღრმიდან უცნაური და შემზარავი ხმები ისმოდა.

— ნეტავი რა ხმაურობს? — იკითხა ცოტნემ.

— შესაძლებელია ეს გარეული ღორებია? — თქვა გელამ.

— როგორ შეიძლება გარეული ღორები იყოს, როცა ისინი აქ არ ბუდობენ, — უარყო გელას აზრი კობამ.

— ვინ მოგახსენა! შარშან არ იყო, რომ მამაჩემმა ორი გარეული ღორი მოკლა! — მიუგო ამაყად ზურაბმა.

— მაინც რა ხმაურობს, რა უნდა იყოს? — იკითხა აკანკალებული ხმით ცოტნემ.

პასუხი არავის გაუცია.

— იქნებ ადამიანია და შველას თხოულობს, — დაარღვია დუმილი ზურაბმა.

— არა მგონია, — მიუგო კობამ.

— იქნებ ტურაა, ან ჭოტი და მისი კივილი ადამიანის ხმად გვეჩვენება.

— სჯობია, ბიჭებო, ჯერ ეგონათ ვიღაცას ფიჩხი მიჰქონდა, მაგრამ კობამ დაეჭვებით თქვა:

— არა მგონია, რომ ფიჩხი მიჰქონდეთ. აქ რაღაც სხვა იმალება.

— მაინც რა უნდა იმალებოდეს? — იკითხა, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა ცოტნემ.

— ხომ ხედავთ, ალაგ-ალაგ გარკვევით მოჩანს თათებით ნაფხაჭნი. უთუოდ რომელიღაც დაჭრილი ან დავრდომილი ცხოველი მიფოფხავს. ან შეიძლება საზღვრის დამრღვევია და ხოხვით მიიკვლევს გზას.

— მართლაც, რაღაც ამბავია. ახლა კი ვხვდები, რატომ გამოუძახეს ოფიცრებს დღეს დილით შტაბში. არ ვიცი თქვენ გაიგონეთ თუ არა, წეღან მთაზე რომ ავდიოდით, საგანგაშო ბუკის ხმაც მომესმა, — დაემოწმა გელა.

— თითქოს ბუკის ხმა მეც გავიგონე, — კვერი დაუკრა ცოტნემ.

— რაც იქნება, იქნება, მოდით და მივყვეთ, ბიჭებო, ნაკვალევს. რაღაც გული მეუბნება, რომ დათვი მიფოფხავს, — მიმართა ამხანაგებს კობამ.

— ადვილი შესაძლებელია, იქნებ ავად არის, ან კბილი სტკივა. — თქვა გელამ.

ზურაბმა იუარა, — დათვი რომ იყოს და კბილი სტკიოდეს, აქაურობას გააყრუებდაო.

— სჯობია, ბიჭებო, ჯერ ეგონათ ვიღაცას ფიჩხი მიჰქონდა, მაგრამ კობამ დაეჭვებით თქვა:

— არა მგონია, რომ ფიჩხი მიჰქონდეთ. აქ რაღაც სხვა იმალება.

— მაინც რა უნდა იმალებოდეს? — იკითხა, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა ცოტნემ.

— ხომ ხედავთ, ალაგ-ალაგ გარკვევით მოჩანს თათებით ნაფხაჭნი. უთუოდ რომელიღაც დაჭრილი ან დავრდომილი ცხოველი მიფოფხავს. ან შეიძლება საზღვრის დამრღვევია და ხოხვით მიიკვლევს გზას.

— მართლაც, რაღაც ამბავია. ახლა კი ვხვდები, რატომ გამოუძახეს ოფიცრებს დღეს დილით შტაბში. არ ვიცი თქვენ გაიგონეთ თუ არა, წეღან მთაზე რომ ავდიოდით, საგანგაშო ბუკის ხმაც მომესმა, — დაემოწმა გელა.

— თითქოს ბუკის ხმა მეც გავიგონე, — კვერი დაუკრა ცოტნემ.

— რაც იქნება, იქნება, მოდით და მივყვეთ, ბიჭებო, ნაკვალევს. რაღაც გული მეუბნება, რომ დათვი მიფოფხავს, — მიმართა ამხანაგებს კობამ.

— ადვილი შესაძლებელია, იქნებ ავად არის, ან კბილი სტკივა. — თქვა გელამ.

ზურაბმა იუარა, — დათვი რომ იყოს და კბილი სტკიოდეს, აქაურობას გააყრუებდაო.

— თუ მართლა დათვია, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ჩვენთვის კი არა, კარგ მონადირისათვისაც სასახელო საქმეა დათვის მოკვლა. მივყვეთ, ბიჭებო, — შესძახა ცოტნემ. გულში კი გაიფიქრა, სოფელში როცა მოკლულ დათვს ჩამოატარებენ, მაშინაც კი მეშინია და, მართლა დათვი რომ გამოდგეს, რაღა მეშველებაო.

— დათვის მოკვლას რომ ველირსოთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!

— ტყავს რაღას უშვრებით? — ისე იკითხა ცოტნემ, თითქოს მოკლული დათვის ტყავი ფეხქვეშ სდებოდა.

— ავდგეთ და ტყავი სკოლას ვუსახოვროთ, სამასწავლებლოს შესასელელთან დავაგოთ და მასწავლებლებმა ზედ ფეხები იწმინდონ, — მიუგო გელამ.

— მაშ, მაშ, ყოველდღე ფეხებს რომ გაისუფთავებენ, ალბათ ჩვენც გაგვიხსენებენ. გულში იტყვიან, ეს დათვი ამა და ამ მონადირეებმა მოკლეს, რა მამაცი და კარგი ბიჭები არიანო, — თქვა კობამ.

— ის კი არა და, შეიძლება ტყავი სარაიონო გამოფენაზე წაიღონ და მის ქვეშ ჩვენი სურათებიც დაჰკიდონ. ჰა, ბიჭებო, რას იტყვით!—მიმართა ამხანაგებს ცოტნემ.

— შეიძლება, რა გგონია. — დაეთანხმა ზურაბი.

— იქნებ დათვი არ არის და ჯაშუშია? — იკითხა გელამ.

— თუ ჯაშუშია და დავიჭერთ, მაშინ უფრო დიდ სახელს მოვიხვეჭთ! ჩვენს სურათებს გაზეთშიც დაბეჭდავენ და დაგვაჯილდოვებენ კიდეც, — თქვა კობამ.

ვინ იცის, კიდევ რას არ იტყოდნენ, რომ უცბად, ხელმარჯვნივ, ნაკვალევის დაყოლებაზე ფიჩხის მსხვრევის ხმა არ გაეგონათ.

ბიჭებს სახეზე მკვდრისფერი დაედოთ, მუხლები აუკანკალდათ.

„ბიჭებო, თავს უშველეთო“ უნდოდა დაეყვირა ცოტნეს, ტუჩებიც გააცმაცუნა და რაღაც გაუგებარი წაილუღლუღა. ქუდმოგლეჯილი მოწყდა ადგილს და გაიქცა, მაგრამ რას გაიქცა, უკან აღარ იხედებოდა.

ზურაბიც დაიბნა. ხელიდან ხიშტი გაუვარდა, შემოტრიალებისას თავიდან მოსძვრა მამისეული ფაფახი, რომელიც ტრიალ-ტრიალით ბუჩქებში შეგორდა. . განა ფაფახისათვის ეცალა! გარბოდა, მაგრამ რას გარბოდა, დათვი კი არა, ალბათ შავარდენიც ვერ დაეწეოდა.

კობა და გელაც შეშინდნენ. ისინი ნელ-ნელა იხევდნენ უკან და ბუჩქებს, საიდანაც ხმაური მოესმათ, თვალს არ აცილებდნენ.

კობამ მომარჯვებული თოფის ჩახმახი ფეხზე შეაყენა.

— ესროლე, რაღას ელოდები, ესროლე! — ეჩურჩულებოდა გელა.

— რას ვესროლო, როცა არაფერს ვხედავ!

— აგერ, ა იმ ბუჩქებს! — გელამ ხელით დაანახა ის ადგილი, საიდანაც ხმაური მოესმათ.

— ასე ბრმად სროლა ვის გაუგონია. თუ დათვია, წამოდგება და სროლითაც მაშინ ვესვრი.

იმის შიშით, ამხანაგების დასაცინი არ გავხდეო, ზურაბი უკან დაბრუნდა, მამისეული ფაფახი ბუჩქებში



ძლივს იპოვა, ხიშტიც მოძებნა და ამხანაგებს გვერდში ამოუდგა.

ცოტნე კი უკანმოუხედავად გარბოდა, მაგრამ ამაზე მეტი უბედურება გინდა!—ხანჯალი ფეხებში გაებლანდა და ორჯერ გადაყირავდა. ერთ ხანს გატვრენილი იწვა. ვიღაცა აჩქარებული სუნთქავდა. ყური მიუგდო და მიხვდა, რომ ეს თვითონ სუნთქავდა. მიხვდა იმასაც, რომ მარტო იწვა და ახლომახლო მისი ამხანაგებიდან არავინ ჩანდა.

„ალბათ ისინი სხვა მხარეს გაიქცნენ“, — გაუელვა თავში, სწრაფად წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ქონდა, უკან მოკურცხლა. დაფეთებული



ბიჭებთან მიიჭრა და კობას ზურგს უკან ამოეფარა. ეგონა, კობა თოფის სროლას აპირებდა, ამიტომ ყურებში თითები დაიცო.

— რა ყურებში თითი დაგიცვია, ბიჭო! — მოესმა გელას ჩურჩული, — ხანჯალი მზად გქონდეს, თუ ვინიცობაა, დათვი გვეცეს, მარცხენა წინა ფეხის ძირში ჩასცხე. გაიგე?

ცოტნემ თვალები გაახილა. ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და, დათვი რომ ვერ დაინახა, გაბედა და ხანჯალი ამოიღო, ტარში ორივე ხელი ჩაავლო და საბრძოლველად მოემზადა.

დიდი ყოყმანის შემდეგ, ბავშვები კვლავ ფეხაკრეფით გაჰყვნენ ნაკვალევს...

* * *

დაღამდა. ტყე უფრო იდუმალი გახდა. ბავშვები სქელ ბუჩქებში შევიდნენ. დათოვლილ ტოტებს განზე სწევდნენ და ასე მიიწევდნენ წინ.

მდევრები პატარა მინდორზე გავიდნენ. თითქოს ცა განათდა. მინდორი ერთი მხრით ტყეს ეკვროდა, მეორე მხრით მთას ებჯინებოდა.

— ბიჭებო, მე აქ ნამყოფი ვარ, კლდის ძირში გამოქვაბული უნდა იყოს, — წასჩურჩულა ამხანაგებს ზურაბმა.

— თუ კლდის ძირში მართლა გამოქვაბულია, მაშინ ჩვენი საქმე ალჩუზეა, — ჩურჩულით მიუგო ზურაბმა.

— როგორ? — იკითხეს ერთდროულად გელამ და ცოტნემ.

— სულ უბრალოდ, ჩვენ წინ ხიხვით მიმავალი ადამიანი იყო თუ ნადირი, ალბათ, ამ გამოქვაბულისაკენ მიილტვოდა თავშესაფარად.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკვალევი შუა მინდორზე მიემართებოდა, ბიჭებმა ტყე-ტყე ამჯობინეს მინდვრისათვის შემოევლოთ, იმ იმედით, რომ მინდვრის იქით ნაკვალევს ისევ იპოვნიდნენ.

ხმელ ბუჩქებში მიმალული ბიჭები ფრთხილად უახლოვდებოდნენ თოვლით დაფარულ მთას, რომლის ძირში, ზურაბის აზრით, მოზრდილი მღვიმე იყო, კლდეში ხუთი-ექვსი მეტრის სიღრმეზე შეჭრილი.

ბიჭებს ახლა ზურაბი მიუძღოდა წინ. ძირს უამრავი ხმელი ფიჩხი ეყარა. ფეხის მიკარებისთანავე ფიჩხი იმსხვრეოდა და მისი ხმა შორს გაისმოდა.

— ფრთხილად, ბიჭებო, ფრთხილად! — აფრთხილებდა ჩურჩულით ამხანაგებს გელა.

კლდისაგან ორმოციოდე მეტრით იქნებოდნენ დაცილებულნი, რომ ბუჩქნარი შეთხელდა. ბიჭებმა ტოტები გადასწიეს და კლდისკენ მიმავალ ნაკვალევს გააყოლეს თვალი.

— ჩემის აზრით, ნაკვალევს პირდაპირ მღვიმეში მივყევართ, — წასჩურჩულა ამხანაგებს გელამ.

ბიჭებს არაფერი უთქვამთ. ისინი გაშტერებული იცქირებოდნენ, მაგრამ სიბნელეში ვერაფერს ხედავდნენ. კობამ ამხანაგებს ხელით ანიშნა, უკან დაიხიეთო. ბიჭები ბუჩქებში შეიმალნენ, მონახეს მშრალი ადგილი, მუხლისთავებზე დაიჩოქეს და ბჭობა გამართეს.

— როგორ მოვიქცეთ? — შეეკითხა ამხანაგებს გელა.

— ასე უცბად ძნელია რამის თქმა, — მიუგო კობამ.

— ნეტავი ადამიანია თუ ნადირი? — წაილაპარაკა ცოტნემ.

— ვინც არ უნდა იყოს, საჭიროა, ისეთი რამ მოვიფიქროთ, რომ ხელში იოლად ჩავიგდოთ, — თქვა ზურაბმა.

— მოდით, ბიჭებო, ცეცხლი დავანთოთ, — თქვა კობამ. — თუ ნადირია, ახლო ვერ მოგვეკარება; თუ საზღვრის დამრღვევია, ცეცხლის დანახვისთანავე გაიქცევა. ჩვენ მაშინ თოფს გავისვრით, საგუშაგოზე გაიგონებენ და მოგვეშველებიან.

— რატომ გგონია, რომ თუ ჯაშუშია, გაიქცევა? — შენიშნა ზურაბმა.

— იმიტომ, გენაცვა, რომ საზღვრის დამრღვევი იგივე ქურდია. ქურდი კი ყველა მშიშარა და მხდალია.

— ბიჭებო, მე კი მგონია, უკეთესია თოფი ახლავე გავისროლოთ, — მიმართა ამხანაგებს გელამ.

— არა, თოფის გასროლა არ ივარგებს, — ჩაილაპარაკა ზურაბმა.

— რატომ?

— იმიტომ რომ, თუ მღვიმეში ჯაშუშია, ეგონება, მე მესვრიანო და ისიც სროლას აგვიტეხს. ჯაშუშები თურმე ერთიერთმანეთზე კარგი მსროლელები არიან და ოთხი გასროლით ოთხივეს დაგვალაგებს.

— დალაგება არც ისე ადვილია, ზურაბ, სიბნელეში რამდენიც არ უნდა ისროლოს, ვერ მოგვახვედრებს. გადაწყდა, უნდა ვისროლოთ, — თქვა კობამ, თოფის ლულა მაღლა აიშვირა და ჩახმახი ფეხზე შეაყენა.

აი ესეც ბედი! — გაისმა ტკაცანი, მაგრამ თოფი არ გავარდა. კობა კვლავ შეეცადა თოფის გასროლას, მაგრამ ამაოდ. მაინც არ დაიგრიალა.

— ვაზნა გამოსცვალე, ვაზნა! — წასჩურჩულა გელამ.

ვაზნაც არაერთხელ გამოსცვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს გელამ გამოართვა თოფი, ახალი ვაზნა ჩადო, ჩახმახის ფეხი ფრთხილად გამოსწია, მაგრამ თოფმა იმასაც უმტყუნა.

გელამ ვაზნა გამოიღო, დიდი ოსტატობით თოფს ხელში ატრიალებდა, ჩახმახს აცემინებდა და თავისთვის ბურტყუნებდა: — ეტყობა, ზამბარა მოდუნებულია და, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, არაფერი გამოვა.

გამოქვაბულში შუქმა იელვა და ჩაქრა. ბიჭები გაინაბნენ, კისრები წაიგრძელეს და გამოქვაბულისაკენ დაიწყეს გაფართოებული თვალებით მზერა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ზაქარია ფალიაშვილი

სახელგანთქმული ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი დიდ მოთხოვნილებას უყენებდა თავის თავს, როგორც შემოქმედი. მას არა სწამდა ხელოვანი ღრმა სპეციალური ცოდნისა და დაძაბული შრომის გარეშე. მისი შესანიშნავი ქმნილებანი: «აბესალომ და ეთერი», «დაისი» და «ლატავრა», ნაყოფია არა მარტო მისი დიდი ნიჭისა, არამედ ენერგიული და დაძაბული შრომისაც. როცა ამას ვწერ, მაგონდება, ოპერა «აბესალომისა და ეთერის» შექმნას თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იგი. ამ ოპერის ლიბრეტო მწერალ პეტრე მირიანაშვილს ეკუთვნის, რომელიც ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი იყო. მოუტანა თუ არა პეტრე მირიანაშვილმა ზაქარიას გამზადებული ლიბრეტო, მას შემდეგ მოსვენებას არ აძლევდა: «აბესალომ და ეთერს» ხელი მოჰკიდეო, მაგრამ ზაქარიას ამაზე ფიქრიც კი აშინებდა და ასე პასუხობდა:—პეტრე, რა დროს ეგაა. აიღეთ გლინკა, დიდი გლინკა! მან ჯერ მთელი მშობლიური მუსიკალური ფოლკლორი შეისწავლა და შეიმუშავა, უამრავი სხვადასხვა მცირე ფორმის ნაწარმოები შეჰქმნა, შემდეგ კი ოპერას შეჰბედა. ხუმრობა ხომ არ არის ოპერა. სადა მაქვს ასეთი ძალა. ეჰ, ჩემო პეტრე... ოპერამდე დიდი გზაა...»

ამ დროს კი ზაქარიას მთელი საქართველო ჰქონდა შემოვლილი და უამრავი ხალხური სიმღერა—შეკრებილი და შესწავლილი. დასაბეჭდად გამზადებული იყო აგრეთვე მისი რამდენიმე რომანსი, ორმოცამდე ხალხური სიმღერა და სხვ.

ზაქარია დიდად აფასებდა, გულმოდგინედ უსმენდა, მხედველობაში იღებდა და იზიარებდა იმ რჩევებსა და დარიგებებს, რომლებსაც მას მისი კეთილისმსურველი მეგობრები აძლევდნენ. მაგალითად, ოპერამ «აბესალომ და ეთერი» პირველი წლის დადგმის შემდეგ ბევრი ცვლილება განიცადა: ამოღებულ იქნა მთელი მესამე მოქმედება (მაშინ ოპერა 6-მოქმედებიანი იყო), გადაადგილა ზოგიერთი ნომერი. ეს ცვლილება ხდებოდა ზაქარიას უფროსი ძმის—დირიჟორ ივანე ფალიაშვილისა და მისი მეგობრების ივანე ჯავახიშვილის, ალექსანდრე ზურაბიშვილისა და ალექსანდრე წუწუნავას რჩევით.

ზაქარია იყო არა მარტო უნიჭიერესი შემოქმედი, არამედ მუსიკის დიდი მცოდნე და ღრმად დაკვირვებული პედაგოგიც. ჯერ კიდევ მოსკოვიდან დაბრუნებისას, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1903 წელს, იგი მიიწვიეს თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში სიმღერა-გალობისა და მუსიკის თეორიის მასწავლებლად. აქ მან ჩამოაყალიბა მშვენიერი ოთხხმიანი შერეული გუნდი და სიმებიანი ორკესტრი. იმავე ხანებში ზაქარია მიიწვიეს აგრეთვე მაშინდელ მუსიკალურ სასწავლებელში (ახლანდელი სახელმწიფო კონსერვატორია) თეორიული საგნების მასწავლებლად, სადაც დაჰყო თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებამდე, ჯერ როგორც პედაგოგმა, ხოლო შემდეგ, როგორც კონსერვატორიის რექტორმა და პროფესორმა. ზაქარიას დიდი ღვაწლი მიუძღვის 1906 წელს ქართული ფილარმონიის დაარსებაში და მუსიკალური სასწავლებლის ჩამოყალიბებაში, სადაც 10 წლის განმავლობაში მუშაობდა დირექტორად და პედაგოგად. მახსოვს, როგორი სულითა და გულით ეკიდებოდა ზაქარია ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების საქმეს. იგი ახალგაზრდობის გულისხმიერი მოამაგე და აღმზრდელი იყო. ეს მე თვით განმიცდია, როგორც მის უმცროს ძმასა და უშუალო მოწაფეს. და, რა თქმა უნდა, ეს მრავალფეროვანი მოღვაწეობა ბევრ დროსა და შრომას მოითხოვდა ზაქარიასაგან, აფერხებდა მის შემოქმედებით მოღვაწეობას. ამიტომაც იყო, რომ ოპერა «აბესალომ და ეთერი» თითქმის ათი წლის განმავლობაში იწერებოდა. ამ ოპერის წერას ზაქარია 1910 წელს შეუდგა და მხოლოდ 1919 წელს დაამთავრა. მას მოჰყვა «დაისი» (1920—23 წ. წ.) და შემდეგ წლებში კი ოპერა «ლატავრა».

ზაქარია მეტად მკაცრი და მომთხოვნი იყო ყველას მიმართ. თუ კი ვინმეს რაიმე სიყალბეს ან სხვა არასასურველ საქციელს შეამჩნევდა, იგი დიდ შეუპოვრობას იჩენდა. ამასთან ერთად, ზაქარია გულთბილი იყო ყველას მიმართ, თავის ოჯახის, დედ-მამის, დებისა და ძმების დიდად მოსიყვარულეც. იგი ყველა ჩვენგანის—დებისა და ძმების მოსიყვარულე, აღმზრდელი მამა გახდა. საერთოდ, იგი მეტისმეტად ფაქიზი და გულჩვილი იყო. სამწუხაროა, რომ ასეთ ადამიანს წილად დიდი ნაღველი ერგო. ზაქარიამ ძლივს გადაიტანა თავისი ერთადერთი შვილის გარდაცვალება. ეს დიდი უბედურება თითქოს ბოლოს იმით მოიოხა, რომ ოპერა «აბესალომ და ეთერი» უძღვნა თავის უდროოდ დაკარგულ შვილს...

ზაქარია გულთბილი და გულკეთილი ადამიანი იყო. მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე ხშირად ექომაგებოდა და თავგამოდებით ეხმარებოდა სტუდენტობასა და საერთოდ ახალგაზრდობას.

აი, ასეთი იყო ქართული ოპერის სულისჩამდგმელი და დიდი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ფალიაშვილი.

ლევან ფალიაშვილი,

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი.

ბაკუტული

გივი აბრამიშვილი ნახ. **დ. ხახუტაშვილისა**

მოთხრობა

საათმა რვა დარეკა. გურამი ლოგინიდან წამოხტა. ფანჯარა გამოაღო, გაიხედა. შორს ქარხნის მილები იკვამლებოდა. ქალაქს თხელი, რძისფერი ბურუსი დასწოლოდა — მრავალსართულიანი სახლების კონტურები ბუნდოვნად მოჩანდა.

პირის ბანას შეუდგა. ცივ წყალს უხალისოდ ისხამდა. სციოდა.

ოთახში აკანკალებულმა შეირბინა. სახე და ხელები შეიშრალა, ფაციფუცით გადაიცვა და საჭმელს მადიანად შეექცა.

საათი უკვე ცხრის ათ წუთს უჩვენებდა. გურამი ჩქარობდა. მორიგე იყო და სკოლაში ადრე უნდა გამოცხადებულიყო. საჭირო წიგნები და რვეულები გადაარჩია და ის იყო ჩანთაში უნდა ჩაეწყო, რომ ორად მოკეცილი ქაღალდი შენიშნა, ამოიღო, გაშალა და დახედა.

ფურცელზე მისი კარიკატურა იყო დახატული, მხრებზე, მკლავებზე, ყურებზე, კუდაპრეხილი „ორიანები“ ჰქონდა ჩამოკიდებული. ქვეშ კი წაქცეული ასოებით ეწერა: „გურამი ბოტანიკის გაკვეთილზე“.

—ეს შალვას ოინი იქნება!—წამოიძახა და ქაღალდი დაფხრიწა.

გუშინ „ორიანი“ მიიღო. შალვას ეს კარიკატურა ამის გამო დაუხატავს. მარტო ეს კი არა, ვინ მოსთვლის რამდენი წყენინება ახსოვს მისგან. ერთხელ, გიმნასტურაზე ქინძისთავით ფურცელი მიამაგრა, რომელზედაც ეწერა: „ყველას უფლებას გაძლევთ თავში ჩამარტყათ“. ზარი დაირეკა. ბავშვები დასასვენებლად დერეფანში გავიდნენ. გურამს ბიჭები დაესივნენ და სიცილ-ხარხარით თავში ცემა დაუწყეს. თუმცა ძალიან არა, მაგრამ მაინც ურტყამდნენ. გურამს უკვირდა: რა უნდათ ჩემგანო. როცა ხუმრობით გული იჯერეს, ფურცელი ჩამოგლიჯეს, წაიკითხეს და უთხრეს: არ გეწყინოს, აი, ამიტომ გცემეთო. შალვამ კი უტიფრად წამოიძახა: ეს ოინი მე მოგიწყვეო.

ერთხელ კიდევ, დაფის საწმენდი ჩვარი ჩამოკიდა და მთელი კლასი აცინა. ამას წინათ კი... მაგრამ ყველაფერს როგორ გაიხსენებს?

ხშირად უფიქრია: რით გადავუხადო სამაგიეროო, ბევრჯერ დაემუქრა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერც ერთხელ ვერ მოიყვანა. ახლა კი უეჭველად ანანებს. მერე რა მოხდა, რომ „ორიანი“ მიიღო? ვეღარ გამოასწორებს თუ რა!

ჩანთას ხელი წამოავლო, ოთახიდან გავიდა, კარები დაკეტა და სკოლისაკენ გაეშურა. მთავარ ქუჩაზე გავიდა. შალვაანთ სახლს გახედა. ეზოს სიღრმეში, ალაყაფიდან მოშორებით, დაბალი ერთსართულიანი სახლი იდგა. შეჩერდა და დაფიქრდა. ყოყმანობდა, როგორ მოქცეულიყო. სკოლაში აყალმაყალის ატეხვა არ უნდოდა. დააპირა სახლში მისულიყო. უეცრად ბავშვის ტირილი მოესმა.

ეზოში შევიდა. შეჩერდა. კვლავ ჩაფიქრდა. რა ქნას, როგორ, რით გადაუხადოს სამაგიერო? სცემოს? არ არის გურამი ბუნებით ასეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის ხმა უფრო და უფრო გარკვევით მოისმოდა.

გურამი აჩქარდა. დრო გადიოდა, სკოლაში აგვიანდებოდა. მოკირწყლული ბილიკი სწრაფად გაირბინა და კარზე დააკაკუნა. ორიოდე წამით შეყოვნდა. ბავშვი გამწარებული ტიროდა. მიხვდა, რომ სახლში არავინ იყო. შუშაბანდში შეიხედა და დაინახა, რომ კვამლი თანდათან გუბდებოდა. მიხვდა რაშიც იყო საქმე; კარს მთელი ძალით მიაწვა. დაკეტილი აღმოჩნდა, ამაოდ წვალობდა. მერე მოიფიქრა: ჩანთა მთელი ძალით მოიქნია და მინები ჩალეწა. გადაძვრა. შუშაბანდის კარები გააღო და ოთახში შევარდა. კვამლმა კინაღამ სული შეუხუთა. აფეთქებული ნავთქურიდან იატაკზე ნავთი დაღვრილიყო და ცეცხლი მოდებოდა. ლოგინს ალი ასდიოდა, საწოლზე ორიოდე წლის ბავშვი იწვა და ჩხავილით დაღლილს ხმა წართმეოდა. მის დანახვაზე უნებურად შეჰყვირა, გიჟივით მივარდა, აიტაცა და გარეთ გაიყვანა. ბავშვი ხის ქვეშ დასვა და ყვირილი ასტეხა.

ხანძარი გაძლიერდა. ოთახიდან ცეცხლის ენები შუშაბანდში გამოდიოდა. გურამი იმწამსვე მობრუნდა, წყლიანი სათლი აიღო და ოთახში შევარდა. ალმა თმა და წარბ-წამწამები შეუტრუსა. ნამწვის სუნით გაჟღენთილი ჰაერის ჩასუნთქვაზე კინაღამ სული შეეხუთა. წყალი იატაკზე მიასხა. ცეცხლი ოდნავ მინელდა. ოთახი ორთქლმა და კვამლმა დააბნელა. გურამმა კედლისაკენ დაიხია, ფანჯარა გამოაღო. სუფთა ჰაერზე გული მოიბრუნა, მაგრამ ნიავმა დაუბერა და ორპირ ქარზე ხანძარი კვლავ გაძლიერდა. ფანჯარა მიხურა და კარისაკენ გაემართა.

იატაკზე დაღვრილი წყალი შიშინებდა და ოთახში კვამლთან ერთად ორთქლიც გროვდებოდა. აღარაფერი ჩანდა. გარეთ ვიღაცები ხმაურობდნენ.

ლოგინს, კარადასა და ჭერს ცეცხლი მოედო. მას უკვე აღარაფერი შეეძლო. სახეზე გიმნასტურის კალთა აიფარა და გარეთ გავიდა. ეზოში აუარებელი ხალხი მოგროვილიყო. აუზში დაგუბებულ წყალს სათლებით ხაპავდნენ და შუშაბანდში ასხამდნენ. გურამი რომ დაინახეს, ორგვლივ შემოეხვივნენ.

— სახანძროში დარეკეთ? — იკითხა გურამმა.

— დავრეკეთ. ალბათ დიდხანს აღარ დაიგვიანებენ. — თქვა ერთმა ქალმა.

ეზოში შალვა და დედამისი მოცვივდნენ. შალვამ გურამი რომ დაინახა, შეცბა.

— ვაიმე, ბავშვი, ბავშვი... — კიოდა გამწარებული დედა.

— ნუ გეშიინია, კარგად არის, კარგად. — უთხრეს მეზობლებმა.

— აი, ამ ბიჭმა გადაარჩინა! — უთხრა ერთმა და გურამზე მიუთითა.

გურამმა უხერხულობა იგრძნო და ხალხში შეერია.

— ეგ რომ არ ყოფილიყო... — ლაპარაკობდა ვიღაც.

— ჩემი სიკვდილი... რძის მოსატანად წავედი, შალვაც თან მყავდა, ალბათ ნავთქურა დამრჩა ანთებული.

— მეხანძრეები! — დაიძახა ვიღაცამ და ყველამ ჭიშკრისაკენ მიიხედა.

რუხტანსაცმლიანი და რკინისმუზარადიანი მამაკაცები სახლისაკენ მორბოდნენ. ავტომობილი ქუჩაში გაეჩერებინათ. ტილოს დახვეულ გრძელ მილებს შლიდნენ და მოათრევდნენ. ოთახში გაბედულად შეიჭრნენ. ონკანები გახსნეს და წყლის ძლიერი ჭავლი რამდენიმე ადგილას მიუშვეს.

ცეცხლი მალე ჩააქრეს...

ხალხი დაიშალა.

ეზოში უხერხულად გაჩერებულმა გურამმა წასვლა დააპირა. მარჯვენა ხელზე მწვავე ტკივილი იგრძნო. თითებზე კანი გადაყვლეფილი ჰქონდა. სისხლი უკვე შედედებოდა. წვა ახლაღა იგრძნო. მომუჭული ხელი ნელ-ნელა გაშალა. ეს აქამდე არც შეუმჩნევია.

—მოიცა, გურამ, მეც მოვდივარ, — დაუძახა შალვამ.

გურამმა ხმა არ გასცა. ჩანთა აიღო, ქუდი დაიხურა და ჩქარი ნაბიჯებით გასწია.



საქართველოს სსრ სახ. ბიბლიოთეკა
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ბაკოში სპარტაკიადაზე

საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა დელეგაცია ბაქოს სტადიონზე.

სპარტაკიადის ჩემპიონი ბირთვის კვრაში—მერაბ ოყროშიძე.

მოსწავლეთა VII საკავშირო ტრადიციულ სპარტაკიადაზე, რომელიც აგვისტოში ბაქოში ჩატარდა, ჩვენი დიდი ქვეყნის 5000-მდე მოსწავლე-სპორტსმენი მონაწილეობდა. წინა ექვს სპარტაკიადაზე საქართველოს წარგზავნილებმა ერთხელ პირველი ადგილი დაისაკუთრეს, ერთხელ—მესამე, ორჯერ — მეხუთე და ორჯერ — მეექვსე. წლევანდელ სპარტაკიადაზე ჩვენმა მოსწავლე-სპორტსმენებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავეს. ეს შედეგი შარშანდელთან შედარებით წინ წადგმული ნაბიჯია. იყო მომენტები, როცა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები ახლოს იყვნენ მესამე საპრიზო ადგილთან, მაგრამ სპორტის ცალკეულ სახეობებში მარცხის გამო დაკარგეს ამის შესაძლებლობა. 1959 წელს ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე-სპორტსმენებმა მხოლოდ მე-6 ადგილი დაიკავეს.

წელს, საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილმა მოსწავლე-სპორტსმენებმა სპორტის ცალკეულ სახეობებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. გიამბობთ რამდენიმე მათგანის შესახებ.

ეს იყო უფრო ადრე, ვიდრე ბაქოში მოსწავლეთა სპარტაკიადა დაიწყებოდა. მერაბ ოყროშიძე თბილისის მე-7 საშუალო სკოლაში სიმწიფის ატესტატზე აბარებდა უკანასკნელ გამოცდას. აი, მან ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა და გერმანული ენის მასწავლებელმა პირველმა მიულოცა 16 წლის მერაბს ოქროს მედალი. მაგრამ სკოლასთან გამომშვიდობება ჯერ კიდევ ადრე იყო. მერაბს წინ საქართველოს მოსწავლეთა XIII რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ახალი გამოცდის ჩაბარება ელოდა. ეს მოხდა ბათუმში. მერაბი ბირთვის

მკვრელთა სექტორზეა. იგი საკავშირო რეკორდის დამყარებაზე ფიქრობს. აი, ბოლო ცდაც, და ბირთვი 16 მეტრისა და 53 სანტიმეტრის მიჯნაზე დაეცა. საკავშირო რეკორდი ჭაბუკებს შორის გაუმჯობესებულია! მერაბს ეს გამარჯვება პირველმა აქაც მასწავლებელმა, მწვრთნელმა ნ. დევდარიანმა მიულოცა. ბაქოში ჩატარებულ სპარტაკიადაზეც ისახელა მერაბმა თავი. მას, გამარჯვებულთა კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომს, გადაეცა სსრკ მოსწავლე-სპორტსმენთა VII სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო ნიშანი—ოქროს მედალი.

სპარტაკიადაზე ქუთაისელმა გოგონამ მერი პაპიაშვილმაც ასახელა საქართველო. მან 200 მეტრზე რბენაში ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

თბილისელი მოსწავლე ალექსანდრე მეტრეველი საქართველოს ჩოგბურთელთა გუნდის სული და გული იყო სპარტაკიადაზე. ბაქოში გამგზავრებამდე ალექსანდრე ბელგიაში იმყოფებოდა. იქ იგი მონაწილეობდა გალეას თასის გათამაშებაში ჭაბუკ ჩოგბურთელთა საერთაშორისო შესარჩევ ტურნირში.

სპარტაკიადაზე ალექსანდრე მეტრეველმა და მისმა ამხანაგებმა გ. პერეგუდოვმა, ვ. კოსტენკომ და ნ. ჟორდანიამ პირველი ადგილი და თასი დაისაკუთრეს. ჩვენმა ჭაბუკებმა თავის თანაგუნდელ გოგონებთან ერთად პირად პირველობაშიც ისახელეს თავი. ვაჟთა წყვილებში ა. მეტრეველმა და ა. ბაქრაძემ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს, ხოლო გოგონათა წყვილებში თბილისელი ივანოვა და რიაზანოვა მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ. შერეულ წყვილთა ფინალში 4 მონაწილიდან, 3 საქართველოს წარმომადგენელი იყო. აქ ჩემპიონის ტიტულისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ა. მეტრეველი (საქართველო), თ. ტარანოვა (უკრაინა), ა. ბაქრაძე და ა. ივანოვა (ორივე საქართველო). დაძაბულ ბრძოლაში ა. მეტრეველმა და თ. ტარანოვამ ოქროს მედლები დაიმსახურეს, ხოლო ა. ბაქრაძემ და ა. ივანოვამ—ვერცხლისა. ბოლო ცენტრალური შეხვედრა ჩემპიონის ტიტულისათვის თბილისელ ა. მეტრეველსა და ლენინგრადელ ა. ივანოვს შორის გაიმართა. ა. მეტრეველმა სძლია მოწინააღმდეგეს და კიდევ ერთი ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

200 მეტრზე რბენაში ჩემპიონის ტიტული მერი პაპიაშვილმა დაიმსახურა.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას 4 ოქროს მედალი მოუპოვეს ჩვენმა ნიჩბოსნებმა გოგონებიდან: ს. ბაიდანოვამ, ს. ბანიკოვამ, ა. მარკოვსკაიამ და თ. ტოლკაჩოვამ.

მოსწავლეთა სპარტაკიადა კარგა ხანია დამთავრდა. გაივლის კიდევ ერთი წელი და ჩვენი ქვეყნის მოსწავლე-სპორტსმენები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს სპორტულ მოედნებზე, გამოვლინდებიან ახალი ჩემპიონები, ახალი პრიზიორები.

ჯ. ენუქიძე



საქართველოს ჩოგბურთელთა სული და გული—ალექსანდრე მეტრეველი თამაშის დროს.

მცხეთის ჯვარი



მცხეთის ჯვარის დიდებული შენობა მთაზეა აგებული. ლეგენდა გვიამბობს, რომ აქ, ღია ცის ქვეშ, წმინდა ნინოს მიერ ხის დიდი ჯვარი ყოფილა აღმართული, როგორც სიმბოლო ახლად მიღებული ქრისტიანული სარწმუნოებისა.

მეფე მირიანის დროს, რომელსაც ჩვენში ქრისტიანული სარწმუნოების შემოღებას მიაწერენ, ამ ჯვრის პატივსაცემად დიდი ეროვნული საეკლესიო დღესასწაული იყო დაწესებული. ამ დღეს აქ თავს იყრიდნენ არა მარტო ქართველები, არამედ შორეული ქრისტიანული ქვეყნებიდან ჩამოსულნიც. სწორედ ამ დიდ დღესასწაულს იძულებული გაუხდია გვარამ ერისმთავარი, ხის ჯვრის ადგილზე პატარა სამლოცველო აეგო. შემდეგ, როდესაც საქართველო ეკონომიურად და კულტურულად უფრო ძლიერი გახდა, ამ პატარა შენობის ადგილას გვარამის შვილმა სტეფანოზ პირველმა ახლანდელი მცხეთის ჯვრის ეკლესია ააგებინა.

მცხეთის ჯვარი საგანგებოდ შერჩეულ მთის ქიმზე მდებარეობს და მხატვრულად ამთავრებს ამ მთას. იგი დგას, როგორც უტყვი დარაჯი მცხეთის საუცხოო ბუნებისა და თავის შესანიშნავი სილუეტით ელფერსა და კოლორიტს მატებს მცხეთის ისედაც ლამაზ პეიზაჟს. დილით, მთის შავი სილუეტი ვეებერთელა ჩრდილად ეცემა ქალაქს და მტკვრის ზედაპირზე ირეკლებოდა მისი კონტურები. მზის ამოსვლის შემდეგ კი, მზის სხივებზე აელვარებული შენობა განუმეორებელ ფონს უქმნის მტკვრის ვიწრო ხეობაში მდებარე ჩვენს ძველ დედაქალაქს. ჩვენდა საბედნიეროდ, ჯვარი გადაურჩა დამპყრობთა ცეცხლსა და მახვილს, და ჩვენამდე ასე თუ ისე პირვანდელი სახით მოვიდა. მხოლოდ ერთხელ, მეათე საუკუნეში, არაბებმა გაძარცვეს და დაწვეს იგი. „ამავე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნი და დაწვეს ჯვარი მცხეთისაი“ — ასე ლაპარაკობს მატიანე ამ შემთხვევის შესახებ. ამ შემოსევის დროს ჯვარს დაუზიანდა მხოლოდ გუმბათი და საძირკვლის ნაწილი. დაზიანებული ადგილები შემდგომ დიდი გულმოდგინებით შეუკეთებია ხალხს. ამის მეტი სხვა ცნობა მცხეთის ჯვარზე არ არსებობს.

რას წარმოადგენს მცხეთის ჯვარი არქიტექტორულად? რითაა იგი ღირსშესანიშნავი?

მცხეთის ჯვარის არქიტექტორული ტიპი უცხო არ არის საქართველოსათვის. იგი ჩვენი ხალხის შემოქმედების წიაღში შემუშავდა და ჩამოყალიბდა. მას სათავე უდევს ქართული საცხოვრებელი სახლის ეგრეთ წოდებული „დარბაზის“ წიაღში. მცხეთის ჯვარის ტიპის ეკლესიები ბევრია საქართველოში, იგი კი ამ ტიპის შენობათა საუკეთესო ნიმუშია. მცხეთის ჯვარი ჯვარგუმბათოვანი შენობაა. რატომ ეძახიან მას ასე? თვითმფრინავით თუ მოგიხდეთ მგზავრობა, აუცილებლად გადმოხედეთ ზემოდან ჯვარს და კარგად დაინახავთ, რომ იგი მართლაც ჯვრის ფორმისაა, ოთხი მკლავითა და გუმბათით. ამ ოთხი მკლავიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავები შედარებით გრძელია. ისინი დაგრძელებულია შენობის ამ ნაწელში სხვა დეტალის ჩამატებით. ამ დეტალს არქიტექტორულ ენაზე „ბემა“ ეწოდება. მკლავების გადაკვეთის ადგილზე აღმართულია მაღალი და ფართო, რვაგვერდიანი გუმბათი, რომელიც შენობის შიგნით ვეებერთელა სივრცეს ქმნის. თვით გუმბათი კი წინ წამოწეულ კედლებს ეყრდნობა. შენობაში შესასვლელი კარები არქიტექტორს სამხრეთითა და ჩრდილოეთით გაუკეთებია. როდესაც შენობაში შედიხართ, თვალში მოგხვდებათ ვეებერთელა სივრცე, რომელსაც ჰქმნის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაღლა ატყორცნილი ფართო გუმბათი. ამ გუმბათის აგება უცნობი არქიტექტორის დიდ მიღწევად ითვლება, რადგან ესოდენ დიდი გუმბათის აგება ბევრ ცოდნასა და დახვეწილ გემოვნებას მოითხოვდა. ფიქრობენ, რომ ცენტრალურ ადგილზე, იქ, სადაც ოდესღაც ლოცვა მიმდინარეობდა, კედელი ფერადი კენჭებით ყოფილა მოხატული. ასეთ მხატვრობას მოზაიკური მხატვრობა ეწოდება.

მცხეთის ჯვარის შენობაში განსაკუთრებით კარგად არის გაფორმებული აღმოსავლეთის კედელი. სწორედ ამ მხრიდან მოადგება მნახველი პირველად მცხეთის ჯვარს. აქ რელიეფურად გამოსახულია ის პირები, ვინც მცხეთის ჯვარის აგებაში მიიღო მონაწილეობა. იქვე წარწერებიცაა. ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ ეკლესიის აშენებისათვის მატერიალური სახსარი გაუღია ქართლის ერისმთავარს სტეფანოზ პირველს. სტეფანოზი კი, როგორც ცნობილია, მოღვაწეობდა 586-604 წლებში. გამოდის, რომ მცხეთის ჯვარი ამ წლებში აუშენებიათ. შენობის აშენებაში მონაწილეობდნენ იქვე გამოსახული სტეფანოზის ძმები: დიმიტრი და ადარნასე. სამხრეთის კედელზე გამოსახულია პატარა, მუხლმოდრეკილი ფიგურა; არის მოსაზრება, რომ იგი არქიტექტორის გამოსახულება უნდა იყოს.

მცხეთის ჯვარი უბადლო არქიტექტორული ძეგლია და იგი ქართველი ერის დიდ ნიჭზე, კულტურსა და მაღალ გემოვნებაზე მეტყველებს.

ა. ჩხარგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. კრონინი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

ოჯი ვერონელი



ჩვენი მანქანა ალპების ძირში, გზატკეცილზე მიჰქროდა. იტალიის ქალაქ ვერონას ვუახლოვდებოდით. ქალაქის მისადგომთან ორმა ბიჭმა გაგვაჩერა. მარწყვსა და კენკრას ყიდდნენ. კალათაში ჩაფენილ ფოთლებზე კენკრა წითლად ღაღანებდა.

— არ გირჩევთ, სინიორებო, ამ ბიჭისაგან ნუ იყიდით მარწყვს, — გვითხრა ჩვენმა შოფერმა ლუიჯიმ, რომელიც ფრთხილი კაცი იყო.—საცაა ვერონაშიც მივალთ, იქ უკეთეს მარწყვს იყიდით. გარდა ამისა, ეს ბიჭები...—ლუიჯიმ ზიზღით აიჩეჩა მხრები, უთუოდ მათი დაქექილი ტანსაცმელი არ მოუვიდა თვალში. ერთ ბიჭს ფლანელის ძველი პერანგი და ყვითელი, მოკლე შარვალი ეცვა, მეორეს კი ჯარისკაცის გადაკეთებული ხალათი, მაგრამ ხალათი ისე ფართო ჰქონდა, რომ შიგ იყო ჩაკარგული.

მართალია ლუიჯიმ ალმაცერად შეხედა მარწყვის გამყიდველებს, მაგრამ ჩვენ მოგვეწონა, ეს პატარა, თმაჩეჩილი, შავგვრემანი ბიჭები. არ ვიცი, რით მიიზიდეს ჩვენი გული. ჩემი თანამგზავრი გამოელაპარაკა ბავშვებს. ძმები აღმოჩნდნენ. ნიკოლო ცამეტი წლისა იყო, ჯაკოპო კი, გულადად რომ მოვიდა მანქანასთან, ნიკოლოზე ერთი წლით უმცროსი.

მარწყვით სავსე ყველაზე დიდი კალათი გამოვართვით ბიჭებს, ფული გადავუხადეთ და გზა განვაგრძეთ.

ვერონა ძველთაძველი, მშვენიერი ქალაქია. შუა საუკუნეების დროინდელმა მყუდრო ქუჩებმა და მჭრქალ-მოყვითალოდ შეღებილმა კოპწია სახლებმა აღტაცებაში მოგვიყვანა. ვერონა ხომ რომეოსა და ჯულიეტას ქალაქია.

რა თქმა უნდა, ომის ქარიშხალს ვერონაც არ დაენდო, დაბომბვისაგან განადგურებულიყო მისი ლამაზი ხიდები, მაგრამ ქალაქს მაინც შერჩენოდა მომხიბლაობა.

მეორე დილით, სასტუმროდან გამოვედით მე და ჩემი თანამგზავრი და ქალაქის დასათვალიერებლად გავეშურეთ. ერთ პატარა ბაღთან, შადრევანის წინ ფეხსაცმლის მწმენდავი ორი ბიჭი იჯდა. ბიჭები მარჯვედ მუშაობდნენ, მრავალრიცხოვან კლიენტს ემსახურებოდნენ. შორიდანვე ვიცანი მარწყვის გამყიდველები. ცოტა ხანი შევიცადეთ და, როცა კლიენტები გაისტუმრეს, მათთან მივედით. დაგვინახეს თუ არა, ბავშვებს სახე ღიმილით გაებადრათ. ძველი მეგობრებივით შევხვდით ერთმანეთს.

— მე კი მეგონა, რომ თქვენ მხოლოდ ხილით ვაჭრობდით, — ვუთხარი ბავშვებს.

— არა, ბატონო, ჩვენ ბევრი ხელობა გვაქვს. ხშირად უცხოელებსაც დავყვებით ქალაქში, ვუჩვენებთ რომეოსა და ჯულიეტას აკლდამას და სხვა საინტერესო ადგილებს, — სერიოზულად მიპასუხა ნიკოლომ და იმედით შემომანათა თვალები.

— კეთილი, — გავუღიმე ბიჭს, — ჩვენც წაგვიყვანეთ რომეოსა და ჯულიეტას აკლდამაში, ყველაფერი გვიჩვენეთ, რისი ნახვაც ღირს.

ვერონას ქუჩებში რომ დაგვატარებდნენ ბიჭები, ვაკვირდებოდი მათ და თანდათან უფრო მიპყრობდა ცნობისმოყვარეობა.

უბრალო, გულუბრყვილო ბიჭები იყვნენ. ჯაკოპო ფერმკრთალი იყო, ცოცხალი, ციყვივით მოუსვენარი. ნიკოლოს კი სახეზე მშვიდი ღიმილი უთამაშებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ბიჭების თვალებში, გამოხედვაში რაღაც უცნაური სიდინჯე კრთოდა. ნიკოლოსა და ჯაკოპოს ქცევაში მათი ასაკისათვის შეუფერებელი მიზანსწრაფვა იგრძნობოდა, რაც უნებურად რიდსა და პატივისცემას უღვიძებდა ადამიანს.

იმ ერთი კვირის განმავლობაში, ვერონაში რომ გავატარეთ, ხშირად ვხვდებოდით ნიკოლოსა და ჯაკოპოს, ხან ამერიკული სიგარეტების საყიდლად გავგზავნიდით, ხან ოპერის ბილეთებს აგვიღებდნენ, გვატყობინებდნენ რომელ რესტორანში ჰქონდათ რაველი. ყველაფერს მარ-



ჯვედ, სწრაფად და მათთვის ჩვეული დაუზარებლობით აკეთებდნენ. გვაოცებდა ბავშვების სიმარჯვე, დაუღლელობა და მოსაზრებულობა. გაჩერებულს ვერ ნახავდით. დღისით, მცხუნვარე მზეში, თუ საღამოს, როცა მთებიდან ცივი, გამჭვალავი ქარი ქროდა, ბიჭებს საქმე არ ელეოდათ: წმენდნენ ფეხსაცმელს, ყიდდენ ხილს, გაზეთებს ან ტურისტებს დაჰყვებოდნენ ქალაქში, დარბოდნენ სხვადასხვა დავალების შესასრულებლად. თავს არ ზოზოგავდნენ, ოღონდ ორიოდ გროში ეშოვნათ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ორიოდ გროშიც ძნელი საშოვარი იყო ვერონაში, რადგან განვლილ ომს თავისი ულმობელი დაღი დაესვა ქალაქისათვის და ხალხი დიდ გაჭირვებაში იყო.

ერთხელ მე და ჩემი მეგობარი სასტუმროში ვბრუნდებოდით. შუაღამე მოახლოებული იყო. მიყრუებულ, ჩაბნელებულ პატარა ბაღში, ნიკოლოსა და ჯაკოპოს წავაწყდით. დაქანცული, გაფითრებული ნიკოლო, ვინ იცის, იქნებ შიმშილისაგან იყო გაფითრებული, ქვაფენილზე დამჯდარიყო და ზურგით კედელს მიყრდნობოდა, ფეხებთან კი გაზეთების დასტა ედო. ჯაკოპოს ძმისთვის მხარზე ჩამოედო თავი და ჩასძინებოდა.

— აქ რა გინდათ, ამ შუაღამისას? — ვკითხე ბიჭებს გაოცებულმა.

მოულოდნელად რომ წავადექით თავზე, ნიკოლო შეკრთა, ცერად გამომხედა და საქმიანი კილოთი მომიგო:

— პატუიდან მომავალ, უკანასკნელ ავტობუსს ვუცდით, მგზავრებს გაზეთები უნდა მივყიდოთ.

— რა დროს გაზეთების გაყიდვაა, ამ შუაღამისას? გირჩევთ, ჩემო პატარა მეგობრებო, შინ წახვიდეთ და დაიძინოთ, ორივე ძალიან დაქანცული ხართ.

— არა გვიშავსრა, ბატონო, — ზრდილობიანად და თანაც ცივად მიპასუხა ნიკოლომ. ეტყობოდა, ამ საკითხზე ლაპარაკი არა სურდა.

მეორე დილით, შადრევანთან რომ მივედით, ნიკოლო და ჯაკოპო უკვე თავის ადგილზე ისხდნენ. როცა ნიკოლომ ფეხსაცმელი გამიწმინდა, ვკითხე:

— ნიკოლო, შენ და შენი ძმა ძალიან ბევრს მუშაობთ, ალბათ, ურიგო შემოსავალი არა გაქვთ. როგორც ვხედავ, ჩაცმა-დახურვაზე არაფერს ხარჯავთ, ჭამით კი ცარიელ შავ პურსა და ლეღვზე გადადიხართ. მითხარი, რას უშვრებით ფულს?

ნიკოლო წამოწითლდა და თვალები დახარა.

— ალბათ, ამერიკაში წასვლაზე ოცნებობთ და ფულს ამისათვის აგროვებთ. ასეა, არა?

— ამერიკაში წასვლა, რასაკვირველია, ორივეს გვინდა, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გეგმები გვაქვს.

— საინტერესოა, რა გეგმები გაქვთ!

ნიკოლომ გაღიმება სცადა, მაგრამ ღიმილის ნაცვლად რაღაც უცნაური გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე. სახის ეს უცნაური ცვლილება პირველად როდი შევნიშნე ნიკოლოს და, როგორც ყოველთვის, ახლაც გული ჩამწყდა.

— ისეთი არაფერი, ბატონო, — სიტყვა ბანზე ამიგდო ნიკოლომ.

— კარგი, შენი ნებაა, თუ არ გინდა, ნუ მეტყვი. ჩვენ ორშაბათს მივდივართ ვერონადან. იქნებ რამის გაკეთება შევძლო-მეთქი თქვენთვის. ამიტომ გკითხე.

ნიკოლომ უარის ნიშნად თავი გადააქნია. ჯაკოპო კი უცებ წამოხტა და წამოიძახა:

— ბატონო, კვირაობით ველოსიპედებს ვქირაობთ ხოლმე და ჩვენს სოფელში, პოლეტაში მივდივართ. აქედან არც ისე შორს არის, სულ 30 კილომეტრია. იქნებ ლუიჯის უბრძანოთ, ხვალ პოლეტაში წაგვიყვანოს.

ლუიჯის წინასწარ შევპირდი, რომ კვირას მთელი დღით გავანთავისუფლებდი. ამან ჩამაფიქრა, მაგრამ არ მინდოდა ჯაკოპოსათვის გული დამეწყვიტა და ვუთხარი: კარგით, ბიჭებო, ხვალ მე თვითონ წაგიყვანთ-მეთქი პოლეტაში.

სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკოლომ ძმას თვალი გადაუბრიალა. ჯაკოპოს შერცხვა და ჩაიბუტბუტა, თქვენი შეწუხება არ მინდოდაო. მეორე დილით, ბიჭები ადრიანად მოვიდნენ ჩემთან და პოლეტასაკენ გავწიეთ. პოლეტა დიდი, ლურჯი ტბის ნაპირებზეა გაშლილი, მთებსა და წაბლის ხეივნებში ჩაკარგული, პატარა, ლამაზი სოფელია.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი პატარა მეგობრები, რომელიმე ძველ, ნახევრად დანგრეულ ქოხთან გამაჩერებინებდნენ მანქანას და თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ჯაკოპომ, ქვის გალავანშემოვლებულ დიდ ვილასთან მთხოვა მანქანის შეყენება.

თვალებს არ ვუჯერებდი. გონს მოსვლა ვერც კი მოვასწარი, რომ ბიჭები ცქვიტად ჩახტნენ მანქანიდან.

— დიდხანს არ დაგაკავებთ, ბატონო. ერთ საათში დავბრუნდებით. თუ გნებავთ, აი, იმ ყავახანაში დაგველოდეთ, — მითხრეს და გალავანს მიეფარნენ.

შევყოყმანდი, არ ვიცოდი რა მექნა, მერე გადავწყვიტე უკან გავყოლოდი მათ. გზამ რკინის ლამაზ ჭიშკართან მიმიყვანა. ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

გაისმა თუ არა ზარის წკრიალი, იმ წუთს გაიღო კარი და სანდომიანი, ლოყაწითელი ქალიშვილი გამოჩნდა. დი-

დი სათვალე ეკეთა, მოწყალების დის თეთრი ხალათი ეცვა.

— სინიორინა, ესესაა აქ ორი ბიჭი მოვიყვანე.

— დიახ, დიახ, ნიკოლო და ჯაკოპო. მობრძანდით, ბატონო, ზემო სართულზე არიან, გაგაცილებთ, — მიპასუხა მოწყალების დამ და ფართოდ გამიღო კარი.

გრილ ვესტიბულიდან დერეფანში გავედით. დერეფანში იატაკი სარკესავით პრიალებდა, ორივე მხრით ჩამწკრივებულ ოთახების კარებზე აბრები იყო მიკრული. ახლა კი მივხვდი, რომ საავადმყოფოში ვიყავი.

ავედით მეორე სართულზე. მოწყალების და აივანზე გამიძღვა და სკამი შემთავაზა. აივნიდან დიდებული სახახაობა იშლებოდა. ვრცელი, ჩრდილოვანი, საუცხოო ბაღის იქით ლურჯად ციალებდა ტბა. მოწყალების დამ ტუჩზე თითი მიიდო და აივნის გვერდით, ფანჯარაზე მანიშნა.

ფანჯარაში შევიჭვრიტე. ასე ოცი წლის მშვენიერი ქალიშვილი, საწოლზე დაწყობილი ბალიშების გროვაზე მიწოლილიყო, სახე აწითლებოდა, პირზე ნაზი ღიმილი უთამაშებდა და გულისყურით უსმენდა საწოლთან ჩამომჯდარ ნიკოლოსა და ჯაკოპოს, რომლებიც გაცხოველებით უყვებოდნენ რაღაცას. ეჭვი არ იყო, ეს მშვენიერი ქალიშვილი ჩემი პატარა მეგობრების და იყო, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს.

— ხომ არ შებრძანდებით ავადმყოფთან? — მიჩურჩულა მოწყალების დამ.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე და ფეხაკრეფით წავედი გასასვლელისაკენ.

ძირს რომ ჩავედით, მოწყალების დას ვთხოვე, მიამბეთ ამ ბავშვების შესახებ რაც იცით-მეთქი. მოწყალების დამ ხალისით დაიწყო:

— ნიკოლო და ჯაკოპო ობლები არიან. ლუჩია მათი დაა. დედა დიდი ხანია დაჰკარგეს. მამა ცნობილი ტენორი იყო, ლას-კალას თეატრში მღეროდა. ომის დაწყებისთანავე ფრონტზე წავიდა და რამდენიმე თვეში დაიღუპა. მაგრამ ულმობელმა ბედმა ეს როდი აკმარა ბავშვებს. დაბომბვის დროს დაინგრა მათი სახლი. ობლები ქუჩაში დარჩნენ. უწინ არაფერი არ აკლდათ, კარგად ცხოვრობდნენ. ლუჩიას მამის ნიჭი გამოჰყვა. სიმღერას სწავლობდა.

წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა დღეში ჩავარდნენ საბრალო ობლები, შუა ზამთარში ქუჩაში რომ დარჩნენ ულუკმაპუროდ. ერთი სახლის ნანგრევებში საკუთარი ხელით ხუხულა გაიკეთეს და თავი შეაფარეს.

მერე ჩვენს ქალაქს გერმანელები დაეპატრონენ. მთელი სამი წელი გმინავდა ქალაქი დამპყრობთა სასტიკ უღელქვეშ. ბიჭებს საშინლად სძულდათ, მთელი გულით სძულდათ საზიზღარი უზურპატორები და, როცა ჩვენში წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმი ჩამოყალიბდა, ბიჭები პირველნი შეუერთდნენ პატრიოტებს. ეს არაფრით არ ჰგავდა ბავშვების „ომობანას“ თამაშს. ნიკოლომ და ჯაკოპომ კარგად იცოდნენ გზები, ყოველ ბილიკი და დიდ სამსახურს უწევდნენ რაზმს. ისინი მეკავშირეებად მუშაობდნენ, ყველაზე საშიშ დავალებას წარბშეუხრელად ასრულებდნენ, ცნობებს აწვდიდნენ ჩვენებს, გერმანელთა ჯარის გადანაცვლებაზე.

თავდადებით მუშაობდნენ ეს საუცხოო ბიჭუნები, — განაგრძო მოწყალების დამ და თვალზე უნებურად მომდგარი ცრემლი მოიწმინდა. — ყოველ ნაბიჯზე სიკვდილის საფრთხე უდარაჯებდათ, მაგრამ ისინი არ ერიდებოდნენ არაფერს, გულადად ასრულებდნენ დავალებას. რამდენჯერ გადგომიან მთის ბილიკებს რაზმისათვის ცნობის მისაწოდებლად და ფეხსაცმელში ჩამალული საიდუმლო ქაღალდი მიუტანიათ პატრიოტებისათვის, რამდენჯერ ეკიდა ამ პატარა გმირების სიცოცხლე ბეწვზე, მაგრამ ვერავითარმა განსაცდელმა ვერ შეაკრთო. ასე გაატარეს ომის ქარიშხლიანი წლები. მშვიდობა გვეღირსა თუ არა, ჯაკოპო და ნიკოლო მაშინვე გაეშურნენ თავისი სათაყვანებელი დის სანახავად, რომელმაც დედობა გაუწია მათ. ის კი, ომის საშინელი წლების მსხვერპლი, ლოგინზე მიჯაჭვული დახვდათ, ხერხემლის ჭლექით დაავადებული.



მოწყალების და ერთი წუთით გაჩუმდა, ამოიხვნეშა და განაგრძო:

— ამ მოულოდნელმა უბედურებამაც ვერ გატეხა ბიჭები, სულით არ დაეცნენ, ვაჟკაცურად მიიღეს მძიმე ტვირთი და ლუჩია ჩვენს საავადმყოფოში მოიყვანეს; აი, უკვე ერთი წელია, რაც ლუჩია აქ წევს. ამ ხნის მანძილზე საგრძნობლად მოიკეთა, უკვე იმედი მოგვეცა, ვგონებ ლუჩია ისევ დადგება ფეხზე და შესაძლოა თავის საყვარელ საქმესაც დაუბრუნდეს.

— რა თქმა უნდა, — განაგრძო მოწყალების დამ, — მძიმე ცხოვრება გვაქვს, სურსათი არ იშოვება, ყველაფერს ცეცხლი უკიდია და ჩვენს საავადმყოფოს ლუჩიას უფასოდ კვებისა და მკურნალობის შესაძლებლობა არა აქვს. ბიჭები აქაც ფხას იჩენენ, ყოველ კვირა შემოაქვთ საჭირო თანხა. არ ვიცი, საიდან შოულობენ ფულს, არ მიკითხავს, კარგად ვიცი რარიგ ძნელია ვერონაში სამუშაოს შოვნა, მაგრამ ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული, სადაც არ უნდა იყვნენ ნიკოლო და ჯაკობო, რა საქმესაც არ უნდა მოკიდონ ხელი, თავს არსად შეირცხვენენ.

— დიახ, მართალსა ბრძანებ, — დავეთანხმე მოწყალების დას, — ძალიანაც რომ მოინდომონ, უკეთესად ვერ გააკეთებენ.

ბაღში გავედი და ბავშვების მოლოდინში მერხზე ჩამოვჯექი. მალე ჩემი პატარა მეგობრებიც გამოჩნდნენ. ისევ გავუდექით გზას ვერონასაკენ. ბიჭები მშვიდი და კმაყოფილი სახით მდუმარედ ისხდნენ ჩემს გვერდით. ერთი სიტყვაც არ მითქვამს ბავშვებისათვის, დაე ეგონოთ, თითქოს მათი საიდუმლოს შესახებ არაფერი ვიცი-მეთქი.

ეს სევდისმომგვრელი ამბავი ღრმად ჩამწვდა გულში. ომის საშინელებამ ვერ შეაკრთო ბავშვები, თავს დატეხილმა უბედურებამ დროზე ადრე დაავაჟკაცა და მედგრად შეხვდნენ განსაცდელს. დიახ, მედგრად, უშიშრად და ამაყად.

პატარა ბიჭების ნაზ სიყვარულში და დისთვის თავდადებაში იყო რაღაც დიდი, კეთილშობილური, ადამიანური, რამაც იმედი ჩამისახა კაცობრიობის უკეთეს მომავალზე.

თარგმნა **ნინო სამუკაშვილმა**

1919 წლის 25 მაისს, წითელ მოედანზე, ახალგაზრდობის წინაშე გამოვიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. მოედანზე იყვნენ მოსკოველი ბავშვები, რომლებიც თავიანთ თავს «ახალგაზრდა კომუნისტების რაზმს» უწოდებდნენ. ილიჩმა მათ სიტყვით მიმართა. იგი ამბობდა, რომ ბავშვები, მოზარდი პროლეტარები, უნდა დაეხმარონ რევოლუციასო. ბავშვების ორგანიზაცია — ეს კომუნისტების აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

1922 წლის თებერვალში კომკავშირი პარტიის დავალებით შეუდგა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შექმნას. მოსკოვში, კრასნაია პრესნიას რაიონში, კომკავშირელებმა ჩაატარეს საბჭოთა რუსეთში პირველი პიონერული რაზმის შეკრება. რაზმში მიღებული იქნა 52 პიონერი.

1922 წლის პირველ მაისს, საპირველმაისო პარადზე, წითელ მოედანზე, პირველად გაიარეს პიონერთა რაზმებმა.

1923 წლის აპრილში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობამ აღნიშნა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის დიდი მნიშვნელობა. ყრილობამ მითითება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს, დახმარებოდნენ ნორჩ პიონერთა მოძრაობას.

1923 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა მოსკოვის გუბერნიის პიონერთა კონფერენცია. თავის მუშაობის დასაწყისში კონფერენციამ მოისმინა ცნობა ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. კონფერენციამ მიიღო მიხეილ ივანეს ძე კალინინის მისალმება, სადაც იგი წერდა: «მივესალმები ნორჩ პიონერებს, რომლებმაც თავი მოიყარეს მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე, როგორც ჩვენს იმედს და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის მუმავალ მებრძოლებს».

1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. კაცობრიობის უდიდესი ადამიანის ცხედარი გორკადან საბჭოების სახლის სვეტებიან დარბაზში გადმოასვენეს. ცხედართან საპატიო ყარაულში იდგნენ მოსკოველი ნორჩი პიონერები.

1924 წლის იანვარში, პიონერებისადმი, პროლეტარიატის ყველა ბავშვისადმი მისალმებაში, რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:

«გარდაიქმნას საბჭოთა კავშირის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციები ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ბავშვთა ჯგუფებად.

1924 წლის 23 მაისს, წითელ მოედანზე, პიონერული ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით შედგა პიონერთა პარადი, რომელიც მიიღეს რუსეთის კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატებმა. პიონერებმა შეჰფიცეს, რომ ისინი იქნებიან დიდი ლენინის საქმის ერთგულნი.

1924 წლის 10 ივლისს გამოვიდა საბავშვო ჟურნალ «ვოჟატის» პირველი ნომერი.

1924 წლის 31 აგვისტოს ლენინგრადში გამოვიდა მოსწავლეთა და პიონერთა პირველი საბავშვო გაზეთ — «ლენინსკიე ისკრის» პირველი ნომერი.

1924 წლის 15 სექტემბერს ერევანში შედგა სომხეთის პიონერთა პირველი შეკრება. შეკრებაზე დასასწრებლად ბავშვების უმეტესობამ ფეხით გამოიარა 150-200 კილომეტრი.

პალეხელი ოსტატები

რუსულ ხალხურ დეკორატიულ ხელოვნებას მრავალი წლის ისტორია აქვს. ჩვენგან შორს, რუსეთის ერთი პატარა სოფლის — პალეხის გლეხებმა თავის ძირითად ხელობად ხატების ხატვა გაიხადეს. ასე იყო დიდხანს. ხოლო როცა ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა მათი ცხოვრება, პალეხელმა გლეხებმაც შეცვალეს თავისი თემა, თემასთან ერთად ახალი ფორმაც გამონახეს. მათ ხელი მოჰკიდეს ხის ჭურჭლისა და ყუთების მოხატვას, შემდეგ მასალად დაწნეხილი მუყაოს გამოყენება დაიწყეს, რადგან მუყაო დამუშავების შემდეგ მოხდენილია და სიმაგრით არ ჩამოუვარდება მყარი ჯიშის ხეს. გამოიყენეს აგრეთვე ლაქი და კვერცხის გულზე გახსნილი საღებავები, რომლებიც მეტად ეფექტურია. ბევრ თქვენგანს უნახავს შავი, სარკესავით გაკრიალებული ყუთები, სათუთუნეები, საწერი მაგიდის მოწყობილობა, საპუდრეები, გულსაბნევები, რომლებზედაც ნაირფერად ელავენ კაშკაშა, თვალისმომჭრელი ფერადი სურათები.

ძვირად ფასობს პალეხელთა ნაწარმი, რადგან მეტად რთული და ხანგრძლივი გზა უნდა გაიაროს მუყაომ, ვიდრე ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმად იქცევა.

უპირველეს ყოვლისა, ოსტატი მუყაოს აძლევს შესაფერ ფორმას. მუყაოს იღებენ რამდენიმე ფენად (8-დან 30-მდე), იმის მიხედვით, თუ რა საგანს ამზადებენ, აწებებენ პურის ფქვილით და აშრობენ (მხოლოდ არა ღუმელში). შემდეგ დებენ სელის ზეთში კარგა ხნით, მერე ღუმელში აშრობენ და იღებენ ხეზე მაგარ მასალას. ეს მასალა გადადის დურგალთან, რომელიც საგანს სასურველ ფორმას აძლევს. ამის შემდეგ მას რამდენჯერმე ლაქავენ, აშრობენ, გრუნტავენ, აკრიალებენ, სწმენდენ, ხატავენ და კვლავ ლაქავენ.

ნაწარმი დამზადების მთელი პროცესის განმავლობაში 20-25-ჯერ ხვდება ღუმელში გასაშრობად და გამოსაწვავად. მერე სათუთად დადის მხატვრის ფუნჯი პაწაწინა ნივთის არეზე და ფერებში აცოცხლებს მხატვრის ჩანაფიქრს. ჩანაფიქრი კი მრავალფეროვანია: ხალხური გმირები, ზღაპრები, საყვარელი მწერლების პუშკინის, ლერმონტოვის, გორკის ნაწარმოებთა ილუსტრაციები, პეიზაჟები, საკოლმეურნეო და მშენებლობის თემები, პორტრეტები და მრავალი სხვ.

პალეხელ ოსტატთა შემოქმედებითი ფანტაზია იმდენად მდიდარია, რომ ერთსა და იმავე თემას ზუსტად არასდროს არ იმეორებენ.

ზოგი პალეხელი ოსტატი მუშაობს ფაიფურზე, ძვალზე, ლითონზე, ზოგი ხატავს თეატრალურ დეკორაციებს, ზოგი წიგნებს ასურათებს და ა. შ.

სოფელ პალეხში არის მხატვართა ნამუშევრების მდიდარი მუზეუმი. მრავალ პალეხელ მხატვარს მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

ირინე უზნაძე,

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

გახა მარტო ცელქობდნენ

(მასწავლებლის ჩანაწერები)

ოთხი წელიწადი ვასწავლიდი მათ. ძალიან ცელქები და მოუსვენრები იყვნენ. ხშირად მაჯავრებდნენ კიდეც, მაგრამ მარტო სიცელქით როგორ შემაყვარებდნენ თავს? ბევრჯერ კარგი რამეც გაუკეთებიათ. ამიტომ იყო, რომ ასე მიყვარდნენ. ახლა, როცა მე აღარ ვასწავლი, გულით ვატარებ მათ სიყვარულს.

მინდა გიამბოთ მათ შესახებ.

პირველი კლასიდანვე ქეთო მეტისმეტი ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო. ხშირად გაკვეთილებზეც იგვიანებდა. ბევრჯერ დავარიგე, ბევრჯერ დავტუქსე, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა, მომცემდა პირობას, ამხანაგებთანაც იფიცებოდა:

— დედას გეფიცებით, აღარ დავიგვიანებო. მაგრამ მაინც იგვიანებდა.

ერთხელ ჩვეულებრივ დაიგვიანა. დასვენებაზე გარეთ აღარ გავუშვი. იდგა ქეთინო ფანჯარასთან და გაჰყურებდა ამხანაგებს, რომლებიც მხიარულად თამაშობდნენ სკოლის ეზოში. მე გულში მებრალებოდა და ვწუხდი, მაგრამ მაინც არ ვუშვებდი. გავიდა სამი-ოთხი წუთი. უცბად, სირბილით შემოცვივდნენ ნუნუ, ხათელა და ლუდმილა, რომლებიც დიდი მეგობრები იყვნენ ქეთოსი. მათ მთხოვეს:

— ოღონდ ქეთინო გარეთ გამოუშვით და ჩვენ თვითონ მოვიყვანთ ზარის დარეკვის შემდეგო. მე დავთანხმდი. ქეთო ამხანაგებთან ერთად ჩიტივით გაფრინდა ეზოში და დაიწყეს თამაში.

ამის შემდეგ ქეთინო ხელჩაკიდებული მოჰყავდათ ამხანაგებს კლასში. მეგობრების დახმარებით ქეთო გადაეჩვია დაგვიანებას.

როგორც გითხარით, ცელქები იყვნენ ჩემი მოსწავლეები და ბევრჯერ მოგმაყენეს უსიამოვნება თავისი სიცელქით. აი, რა მოხდა ერთხელ:

ზარი დაირეკა. კლასში შევედი. მოსწავლეები სწრაფად წამოიშალნენ ფეხზე. ყოველთვის მხიარულად მხვდებოდნენ ბავშვები. დღეს კი რაღაც ჩრდილი გადაფენოდათ სახეზე. გავოცდი. იმ წუთს შევნიშნე, რომ საკლასო დაფა გატეხილი იყო და ფრთამოტეხილ ბატივით გვერდჩამოშვებული იდგა. შევწუხდი.

—დასხედით! — მივმართე ბავშვებს. ბავშვები წყნარად დასხდნენ. მხოლოდ მორიგეები იდგნენ ფეხზე.

— დაფა ვინ გატეხა? — მივმართე მორიგეებს.

—მიშამ, პატივცემულო მასწავლებელო! — მომიგო შეწუხებულმა ლუკამ. მიშა ფეხზე წამოდგა, მაგრამ არავითარი მღელვარება არ ემჩნეოდა, არც ამხანაგების მეშვეობას აგდებდა რადმე.

— სირცხვილი! — მივმართე მიშას. — ახლა დირექტორმა ხომ მე უნდა მისაყვედუროს. ხომ გახსოვთ, ბავშვებო, პირველ სექტემბერს, საკლასო ოთახი რომ ჩაგვაბარა, გვითხრა:

— საკლასო ოთახში ყველაფერი წეს-

რიგზეა. გაუფრთხილდით ყველაფერს. იცოდეთ, თქვენი მასწავლებელი პასუხისმგებელია ყველა ნივთზეო. —მიშას ახლა კი ჩრდილი მიეფინა სახეზე, თავი დახარა, იგრძნო დანაშაული. კლასში სიჩუმე ჩამოვარდა.

—პატივცემულო მასწავლებელო!—მომმართა ზაურმა, — გაკვეთილების შემდეგ დავრჩებით მე და მიშა და შევაკეთებთ დაფას.

მიშას თვალები გაუბრწყინდა. სიყვარულით გადახედა ზაურს.

გაკვეთილები დამთავრდა. მიშა და ზაური გაიქცნენ სახლებში. მოარბენინეს საჭირო იარაღი და ხის მასალა.

დიდხანს მუშაობდნენ ბავშვები, ბევრი იწვალეს და დაფა მშვენივრად შეაკეთეს.

დიდი სიხარული იხატებოდა ბავშვების თვალებში, როცა თავის ხელით შეკეთებულ, წელში გამართულ დაფას შეჰყურებდნენ. ამის შემდეგ კლასში ყველაფერს უფრთხილდებოდნენ და, თუ რამე დაზიანდებოდა, სიხარულით აკეთებდნენ. სასწავლო წლის დასასრულს კლასში ყველაფერი ახალივით გამოიყურებოდა.

ერთხელ ჩემი კლასის პიონერებმა გადაწყვიტეს, პირველკლასელებისათვის საჩუქრები დაემზადებინათ. მოიტანეს ფერადი ქაღალდები, წებო, ძაფი და სხვა საჭირო მასალა. მალე შეუდგნენ მუშაობას. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლამაზი სათამაშოების დამზადებაში. ლეილამ ლამაზი ყვავილები დაამზადა, მზიამ ფერადი კალათები, ლუკამ თვითმფრინავი, ბელამ კუბიკები, რომეომ პარაშუტები. როცა საკმარისი სათამაშოები დააგროვეს, ეწვივნენ პირველკლასელებს. ჯერ ზღაპრები უამბეს, მერე ლექსებით და სიმღერებით გაართეს და ბოლოს პაწიებს დაურიგეს თავისი ხელით დამზადებული სათამაშოები.

გაიხარეს თვითონაც და პატარებიც გაახარეს. ასე დამეგობრდნენ ისინი და შემდეგ დასვენებებზე თამაშით ართობდნენ მათ.

სწავლაშიც ეხმარებოდნენ ერთმანეთს ბავშვები.

ერთხელ ლეილა ავად გახდა, ფეხი ასტკივდა. ექიმმა ლოგინში წოლა ურჩია. გოგონას იმდენად ფეხის ტკივილი არ აწუხებდა, რამდენადაც ის, რომ ამხანაგებს სწავლაში ჩამორჩებოდა. მაგრამ არა, რაღა ამხანაგობა იქნებოდა, თუ ავადმყოფ ამხანაგს დახმარებას არ აღმოუჩენდნენ!..

მართლაც, ყოველდღე გარბოდნენ ლეილასთან ნუნუ, ნათელა, ლუდმილა, მზია, ბელა და სხვები. მოჰქონდათ ჩემთან ლეილას მიერ შესრულებული დავალების რვეულები, შემდეგ კი უკანვე მიჰქონდათ შესწორებული რვეულები, ახალ მასალასაც უხსნიდნენ.

ერთი თვის შემდეგ ლეილა გამოჯანმრთელდა, სკოლას დაუბრუნდა. თავს ევლებოდნენ, ეფერებოდნენ.

ასე დაიზარდნენ, დამშორდნენ, მაგრამ განა დავივიწყეთ ერთმანეთი.

იმ კლასის ხელმძღვანელი, თამარ მასწავლებელი ხშირად მიყვება ჩათ ყველელქეზე, მაგრამ კარგიც შეუძლიათო, — ამბობს. სასწავლო წლის განმავლობაში საკლასო ოთახს თვითონ ასუფთავებდნენ. არც საზოგადო სასარგებლო შრომას ივიწყებდნენ. ხშირად მიეგზავრებოდნენ ცოცხებით, თოხებით და ნიჩბებით ხელში ქალაქის პარკში. გზებსა და ბილიკებს ასუფთავებდნენ. უვლიდნენ ყვავილებს.

არც მე მივიწყებდნენ. ყოველ დასვენებაზედ მორბოდნენ ჩემთან და ჩემს ახლანდელ პირველკლასელებთან თამაშობდნენ. თუ ვინმე აწყენინებდა პატარებს, ისინი ესარჩლებოდნენ, მუდამ ეფერებოდნენ.

ასე, ჩემო კარგებო! თქვენი კარგი არ გვავიწყდება. ის გვაძლევს ძალას, ის გვახარებს და ზრდის თქვენს სიყვარულს ჩვენს გულებში!

ნაგო აბულაშვილი,
სიღნაღის საშუალო სკოლის
მასწავლებელი.

ნახ. **ედ. ამბოკაძისა**



ბრძოლა რვაფეხასთან

ეს ამბავი კამჩატკაზე მოხდა. გაზაფხულის ადრიან დილით ავაჩინსკის ყურესთან ნაპირზე ვიჯექი და დურბინდით ოკეანეს გავცქეროდი. ბანაობა მომინდა. ნაპირიდან დაახლოებით კილომეტრის მოშორებით წყალში ამოშვერილი დიდი ქვა იყო. ბინოკლი შარვალში გავხვიე, ქამრით შევკარი, თავზე დავიმაგრე და ქვისკენ გავცურე.

მისვლისთანავე თბილ ქვაზე გავიშხლართე. ერთბაშად, წყალზე ძლიერი ტკაცუნი შემომესმა. შემოვბრუნდი და ბუშტუკები და ნახევრად წრიული ტალღები დავინახე, „რა არის? ნუ თუ ზვიგენი? მაგრამ ისინი ხომ საერთოდ ყურეში არ შემოდიან“.

ამასობაში ნაპირზე დაბრუნების დროც მოვიდა. წყალში ჩახტომა რომ დავაპირე, ქვის ნაპირზე წყლიდან ამოშვერილი საცეცები გამოჩნდა.

საცეცები, რომლებიც დაფარული იყო გულისამრევი შემწოვებით, მუქარით იგრიხებოდნენ. რვაფეხა!—გავიფიქრე უმალ და შეშინებულმა უკან დავიხიე. ფეხი დამიცდა. კიდევ ერთი წამი და, ურჩხულის საცეცებში აღმოვჩნდებოდი. ხელი და მუხლი გადავიღლიტე, როგორც იქნა ავბობღდი ქიმზე. ეს ადგილი რვაფეხასათვის მიუწვდომელი იყო. მაგრამ მოქ-

ცევა უკვე დაიწყო. ქვას მალე წყალი დაფარავდა და მაშინ, ჰოი, საშინელებავ!..

შეშინებულმა შარვლის ქნევა დავიწყე.

რამდენი დრო გავიდა არ ვიცი. შიშისა და დაღლილობისაგან მუხლები მეკეცებოდა, ხმა ჩამიწყდა. რვაფეხას საცეცები, რომლებიც გველივით იგრიხებოდნენ, უკვე ნახევარ მეტრზე მომიახლოვდა.

... წყალმა თითქმის დაფარა ქვა. საზიზღარი ურჩხული თანდათან მიახლოვდებოდა. ეს იყო რაღაცნაირი თვალებიანი ტომარა, რომლისგანაც გამოდიოდნენ შემწოვებით დაფარული, გრძელი, მოქანავე ტოტები. იქვე, საცეცებსშუა მოჩანდა შავი ნისკარტი, რომელიც დროდადრო წინ და უკან იწევდა, შემდეგ კი შიგნით, ტომარაში შედიოდა და მის ადგილას პატარა ხვრელი კეთდებოდა. ის-ის იყო რვაფეხასათვის დასარტყმელად შარვალი კვლავ მოვიქნიე, რომ ზურგსუკან ვიღაცის ხმა მომესმა:

— მოქალაქევ, აქ რას აკეთებთ? მოქცევა დაიწყო!

მუხლები მომეკვეთა, თავბრუ დამეხვა, თვალთ დამიბნელდა...

... როცა გონს მოვედი, საავადმყოფოში ვიყავი.

რვაფეხა თურმე უკვე წყალში მიმათრევდა, როცა მას თავზე მოხუცის ნავმა გადაუარა. მოულოდნელი შეხების გამო რვაფეხამ ხელი მიშვა და იმწამსვე ნავის ქიმს მოავლო საცეცები.

მენავემ ორივე ხელით აწეული ბარჯი რაც ძალი და ღონე ჰქონდა რვაფეხას ზედ თვალებს შორის დაარტყა, ნიჩბით გადაუმტვრია საცეცები, რომლებითაც ნავს მოხვეოდა. ასე გადამარჩინა მოხუცმა მენავემ სიკვდილს.

ვ. მენგდენი

* * *

—დედი, ერთი შეხედე, იმ ბიძიას თავზე თმები სრულიად არა აქვს!—წამოიძახა ჰაინრიხმა.

—მხოლოდ, ასე ხმამაღლა ნუ ამბობ, ჰაინრიხ, ბიძია გაიგონებს.

—როგორ,—უკვირს პატარას,—ნუთუ მან ეს არ იცის?!

* * *

მასწავლებელი: — ჰანს, რატომ არის, რომ შენი საშინაო დავალება, რომელიც თქვენს ძაღლზე უნდა დაგეწერა, სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ანისას?

მოსწავლე: — როგორც ჩანს, მე და ანის ერთი და იგივე ძაღლზე დაგვიწერია, მასწავლებელო.

* * *

ქალი პატარა გოგონას ვაშლს აძლევს.

—აბა, რა უნდა უთხრა ახლა შენ დეიდას?—ეკითხება დედა პატარას.

გოგონა ერთი წამით ჩაფიქრდა, შემდეგ კი უპასუხა:

—«დეიდა, მომეცით კიდევ ერთი ვაშლი».

* * *

მაიერები ვაშხმობენ. მაგიდაზე თევზის კონსერვებიც აწყვია. ქალბატონი მაიერი ყვება:

—ბავშვებო, ამ პატარა თევზებს ზღვაში ხშირად დიდი თევზები სანსლავენ ხოლმე.

ფრედი გაკვირვებული უყურებს გახსნილ კონსერვს და ამბობს:

—საინტერესოა, როგორ ხსნიან ხოლმე დიდი თევზები კონსერვებს!

გერმანულიდან თარგმნა ს. **გელაშვილმა**.

„შორეულ გზებზე“

ალბათ წაკითხული გაქვთ გასულ წელს გამოცემული ქართველ მოგზაურთა ჩანაწერების პირველი წიგნი—„შორეულ გზებზე“. რამდენი საინტერესო ამბავი გაიგეთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის შესახებ, რაც მანამდე არც ერთ სახელმძღვანელოში არ შეგხვედრიათ.

ახლახან გამოვიდა ქართველ მოგზაურთა ჩანაწერების მეორე წიგნი. ამ კრებულში მოთავსებულია ირაკლი აბაშიძის „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით“, გ. ბახტაძის „ლილისფერ გზებზე“, ნ. ბიბილეიშვილისა და დ. გვრიტიშვილის „ძველ და ახალ ინდოეთში“, ბ. გელაშვილის „დაუვიწყარი მოგზაურობა აზიის გარშემო“, ნ. გურეშიძის „მეგობრების თვალით“, ს. დურმიშიძის „მეცნიერთა მსოფლიო ფორუმებზე“, ა. კოკილაშვილის „დღეები ბულგარეთში“, ჯ. ჩარკვიანის „მატარებელი ბუდაპეშტში ჩერდება“ და ფრ. ხალვაშის „რამდენიმე დღე ამერიკაში“.

ირ. აბაშიძის წერილში „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით“ აღწერილია ნიუ-იორკის გარეგანი ბრწყინვალება, ცათამბჯენები და ბროდვეი, მაგრამ იქვე ნაჩვენებია ჰარლემი—ზანგების უბანი, სადაც სიცივე, სიბინძურე და უმეცრებაა გამეფებული. მეტად ლამაზი ყოფილა ნიუ-იორკის ცენტრალური პარკი, მაგრამ ვაი ამ სილამაზეს: იგი ღამღამობით კაცის მკვლელებისა და ქურდების ბუდეა თურმე.

სულ სხვა სურათია დემოკრატიულ ქვეყნებში. ა. კოკილაშვილის „დღეები ბულგარეთში“, ჯ. ჩარკვიანის „მატარებელი ბუდაპეშტში ჩერდება“ და სხვა ნარკვევებში კარგად იგრძნობა ის სიკეთე, რომლებიც ამ ქვეყნებს სოციალისტურმა გარდაქმნებმა მოუტანა.

„ბრაზიანი ცეცხლი“

ნათქვამია, ცეცხლთან თამაში სახიფათოაო. ვინ იცის რამდენი უსიამოვნება და ზარალი მიუყენებია ადამიანისათვის ცეცხლს. ამ თემას უძღვნის პოეტი მორის ფოცხიშვილი პოემას „ბრაზიანი ცეცხლი“.

პატარა მიტოს ძლიერ უყვარს ასანთით თამაში. იგი ხშირად წვავს მუყაოსა და ქაღალდის ნაჭრებს და ამით ერთობა. პოეტი ასე არიგებს მას:

„დაიხსომე,—
ხშირად
ნაპერწკალიც კმარა,
რომ მოედოს ცეცხლი
სოფელსა და ქალაქს“.

პოეტი მშრალ დარიგებას არ ჯერდება და მაგალითისათვის მოუთხრობს ბავშვებს ლეგენდას ცეცხლის გაბრაზებაზე. თურმე ძველ დროში პატარა მიტოს სეხნიამ ცეცხლი გააბრაზა. გაბრაზებული ცეცხლი მიტოს გამოუდგა და მთელ ქალაქს გადაბუგვით დაემუქრა. ხალხმა ცეცხლის წინააღმდეგ წყალი გამოიყენა. ცეცხლი ჩააქრეს, მაგრამ ის ადგილი, სადაც წინათ ქალაქი იყო, ახლა წყალმა დაფარა. ცეცხლწაკიდებული მიტო კი ზღვაში გადაეშვა და ასე გაჩნდა ამ ქვეყნად ცეცხლისფერი თევზი.

პოეტი სხვისი ქცევის მაგალითზე სათანადო მხატვრული ხერხების გამოყენებით კარგად უჩვენებს ბავშვებს ცეცხლთან თამაშის უარყოფით შედეგებს.

პოემა დაწერილია ბავშვებისათვის გასაგები ენით, იკითხება დიდი ინტერესით. კარგად არის გაფორმებული მხატვარ ნ. შალიკაშვილის მიერ.

„მიუნჰაუზენის თავგადასავალი“

ალბათ ბევრი გსმენიათ საარაკო, ფანტასტური ამბების გამომგონებლის—მიუნჰაუზენის შესახებ. მიუნჰაუზენის სახელი ხომ ტრაბახა და მატყუარა ადამიანის სინონიმად იქცა ყველა ქვეყანაში.

გერმანელი ბარონი მიუნჰაუზენი ცხოვრობდა მე-18 საუკუნეში. იგი სამხედრო პირი ყოფილა, ერთხანს რუსეთში უცხოვრია და მონაწილეობა მიუღია რუსეთ-თურქეთის ომში. შემდეგ დაბრუნებულა გერმანიაში და იქაურ არისტოკრატიას მოუთხრობდა თურმე ფანტასტურ ამბებს. მის მიერ მოგონილი ამბები შემდეგში გადაამუშავა გერმანელმა მწერალმა ვ. რასპემ და ცალკე წიგნად გამოსცა „მიუნჰაუზენის თავგადასავალის“ სახელწოდებით.

რამდენ საინტერესო ფანტასტურ ამბავს არ ნახავთ აქ. აი, თუნდაც ამბავი მიუნჰაუზენის მთვარეზე ასვლის შესახებ: მიუნჰაუზენმა თავისი ვერცხლის ნაჯახი დათვებს მძლავრად მოუქნია, ნაჯახი ხელიდან გაუსხლტა და მთვარეზე დაეცა თურმე. მთვარეზე ასვლისას კი მას თურქული ცერცვის ღერო გამოუყენებია, რომელიც თითქოს ისე იზრდება, რომ მთვარემდე აღწევს. აჰყვა ამ ღეროს მიუნჰაუზენი და, მისი თქმით, ერთ საათში მთვარეზე იყო.

თითოეული ამბავი ამ წიგნში მხატვარ დ. ხახუტაშვილის მიერ მშვენივრადაა დასურათებული ფერადი ილუსტრაციებით.

გ. აბდალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1


2

3


4

5

ჭადრაკის ისტორიიდან

ჭადრაკის ისტორია 1400 წელს ითვლის და, ბუნებრივია, მისი ისტორიული განვითარების პროცესის შესწავლისას დუმილით ვერ ავუვლით გვერდს ჭადრაკის სათამაშო ფიგურების ისტორიასაც.

ჭადრაკის აკვანი V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისში დაირწა, აღმოსავლეთის ქვეყნებში. ეს გონივრული თამაში თავდაპირველად მხოლოდ დიდებულთა, მაღალი წოდების კუთვნილებად ითვლებოდა. ჩვენამდე მოღწეულ II საუკუნის უძველეს დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ჭადრაკის პირველი კომპლექტი, რომელიც ინდოეთის მეფემ საჩუქრად გაუგზავნა სასანიდების მეფეს ხოზარ I-ს, მეტად ძვირფასი იყო. ფიგურების ერთი ნაწილი გამოთლილი იყო უმაღლესი ხარისხის ლალისაგან, ხოლო მეორე — ზურმუხტისაგან.

ცნობილია, რომ იმდროინდელ დიდებულებს ჰქონდათ ჭადრაკის ისეთი კომპლექტები, რომლებიც დამზადებული იყო ვერცხლისა და ოქროსაგან, სპილოს ძვლისა და მთის ბროლისაგან. სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია. ისინი იმდენად ცოტაა, რომ თითზე ჩამოთვლა შეიძლება.

VII საუკუნის დროინდელი მხოლოდ 4 ფიგურაა შემორჩენილი, ისინი ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმშია დაცული. ორი მათგანი, კერძოდ, შუააზიური ჭადრაკის ფიგურები: მხედარი და ჩიტი რუჰი (ნახ. 2) ინახება ლენინგრადის ერმიტაჟში. ორივე ეს ფიგურა დამზადებულია სპილოს ძვლისაგან. ჩიტი რუჰი, იმ დროს, თანამედროვე ეტლის მნიშვნელობით იხმარებოდა.

ყურადღებას იპყრობს იტალიის მუზეუმში — ბარჯელოში დაცული ფიგურა კუ (ნახ. 1), რომელიც სპარსელი ოსტატის ნახელავია.

უძველესი აღმოსავლეთის ოსტატების მიერ ძვალზე ჭრის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ის ერთადერთი ფიგურა (ნახ. 3), რომელიც დაახლოებით X საუკუნეს ეკუთვნის. გადმოცემის თანახმად ეს ფიგურა ჭადრაკის იმ კომპლექტისაა, რომელიც არაბეთის ხალიფამ ჰარუნ-ალ-რაშიდმა აჩუქა კარლოს დიდს. ეს, მხატვრული თვალსაზრისით კომპოზიციურად რთული და უბადლო ოსტატობით შესრულებული ფიგურა, რომელშიც გადმოცემულია მთელი ბრძოლა, წარმოადგენს მხოლოდ პაიკს.

ეს არის და ეს, ჭადრაკის იმ ძვირფასი კომპლექტებიდან შემორჩენილი ფიგურები, რითაც ახლა ამაყობს მსოფლიოს ზოგიერთი მუზეუმი.

X საუკუნეში ჭადრაკი თანდათან ვრცელდება და ბიზანტიაში შედის. მე-4 ნახატზე ნაჩვენებია ბიზანტიური ასტროლოგიური ჭადრაკის ეტლი. მისი ფორმა ძლიერ წააგავს არაბულ ჭადრაკს.

ჭადრაკის ისტორიაში თეთრ ლაქებს წარმოადგენენ საქართველო და სომხეთი. მაგრამ ცალკეული ისტორიული ფაქტების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ამ ხალხების ჭადრაკის ისტორიას შორეულ საუკუნეებში აქვს ფესვი გადგმული. მართალია, ქართული ჭადრაკის ფიგურები გავლენას განიცდიდნენ არაბეთისა და სპარსეთის მხრივ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართული ჭადრაკის კომპლექტებში დაცულია ეროვნული სტილი. ერთ-ერთი ასეთი გვიანდელი პერიოდის ჭადრაკი ინახება სამხატვრო აკადემიის პედაგოგის დ. ციციშვილის ოჯახში. მე-5 ნახატზე თქვენ ხედავთ ამ კომპლექტის ეტლს. მისი მოხაზულობა ძლიერ ჰგავს XII-XIII საუკუნეების ფიგურას, რომელიც 1937 წელს დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვნეს.

ჩვენამდე მოღწეული, ევროპის შუა საუკუნეების დროინდელი ჭადრაკის კომპლექტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XI საუკუნის საფრანგეთში სპილოს ძვლისაგან გამოთლილი კომპლექტი. ეს ფიგურები გამოხატავენ კარლოს დიდის არმიის მხედრებსა და ქვეითებს. მე-6 ნახატზე ნაჩვენებია ამ კომპლექტის პაიკი.

ჭადრაკის უძველეს ფიგურებში ხშირად გამოხატავდნენ ადამიანებსა

9

10

11

12



7

8

და ცხოველებს. ეს რეალისტური სტილი შემოინახა XIV საუკუნემდე, შემდეგ კი თანდათან გაბატონდა ფიგურების სვეტისებური ფორმები (ნახ. 7).

მე-8 ნახატზე გერმანული ჭადრაკის ფიგურაა. იგი გამოხატავს ცხენზე ამხედრებულ ეპისკოპოსს მშვილდ-ისრებით შეიარაღებული მრევლის თანხლებით.

მე-9 ნახატზე, იალქნიანი გემის სახით, ნაჩვენებია რუსული ჭადრაკის ფიგურა — ეტლი. იგი XVII საუკუნეს მიეწერება. აქვე უნდა ითქვას, რომ ძვირფასი მასალის გარდა, რუსეთში ჭადრაკის ფიგურების დასამზადებლად ხშირად იყენებდნენ თევზის ძვალს, ქვამარილსა და ხეს.

ჩინეთის, იაპონიისა და კორეის ჭადრაკი თავისი გარეგნობითა და თამაშის წესებით ძლიერ განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი ჭადრაკისაგან. მაგალითად, ჩინური ჭადრაკი თავისი გარეგნობით მოგვაგონებს ჩვენს შაშს, იმ განსხვავებით, რომ მას ამა თუ იმ ფიგურის აღმნიშვნელი წარწერა აქვს გაკეთებული (ნახ. 10).

იაპონური ჭადრაკის ფიგურებს სამკუთხედის ფორმა აქვთ. თვით სამკუთხედებს ზემოდან ამა თუ იმ ფიგურის აღმნიშვნელი ნახატები აქვთ.

მე-11 ნახატზე გამოხატულია ამ ჭადრაკის დრაკონი, რომელიც ჩვენს ჭადრაკს არა აქვს.

ყურადღებას იპყრობს ციმბირის ზოგიერთი ხალხის ჭადრაკის ფიგურები. ამ ჭადრაკში მეფე (ნახ. 12) გამოხატულია ეშმაკის ან რქებიანი ადამიანის სახით. კუ და პაიკები თითქმის ყოველთვის გამოსახულია ძაღლების ან ლეკვების სახით, ხოლო მხედრებს აქლემები სცვლიან.

რაც შეეხება ბირმის საჭადრაკო ფიგურებს, ისინი ძლიერ გვანან უძველესი აღმოსავლეთის ფიგურებს (ნახ. 13). ხოლო თუ ბირმის საჭადრაკო ფიგურები თავიანთი რეალიზმით მოგვაგონებენ უძველეს ნიმუშებს, სამაგიეროდ მალაიური ჭადრაკი (ნახ. 14) ძლიერ შორს არის მისგან.

მე-15 ნახატზე ნაჩვენებია თურქული ჭადრაკის ეტლი. იგი თავისი გარეგნობით ძლიერ ჰგავს არაბულ ფიგურას, ჩიტ რუჰს.

მე-16 ნახატზე თქვენ ხედავთ XV-XVI საუკუნეების ინდური ჭადრაკის ფიგურას. უფრო ადრინდელი ხანის ფიგურა ჯერ არ არის ნაპოვნი.

ჭადრაკის განვითარების ისტორიაში ფიგურების სტილის მოდერნიზაცია შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად: 1. უძველესი რეალისტური, ეგრეთწოდებული „ნადირული სტილი“, რომელიც მიეკუთვნება VI-IX საუკუნეებს; 2. IX საუკუნიდან XIII საუკუნემდე გაბატონებული გეომეტრიული, არაბული სტილი; 3. XIII-XVIII საუკუნეებში კვლავ გაბატონებულა სახვითი რეალიზმი, რომელიც ოდნავ იხრება სტილიზირებული სიმბოლიკისაკენ; და ბოლოს, 4. XVIII-XX საუკუნეებში გაბატონებული, ჩვენი დროისათვის აღიარებული სტანდარტული სვეტისებური სტილი.

იქნება თუ არა ეს სტილი დაცული მომავალშიც, ამაზე პასუხის გაცემა ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ უკვე ახლა, საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში არის ცდები იმისა, რომ ჭადრაკის ფიგურებში შეიტანონ თანამედროვეობის ელემენტები, ასე მაგალითად, კონსტრუქციული კუბები, თვითმფრინავები, ტანკები.

მ. პაღბოლსკი

13

14

15

16

შროშანების დედოფალი

სამხრეთ ამერიკაში, ბრაზილიის ტროპიკულ ტყეებში, წყალუხვი ამაზონკის შესართავებთან ხარობს მცენარე, რომელსაც «ვიქტორია ამაზონკას» ანუ «ვიქტორია რეგიას» უწოდებენ.

ეს მცენარე შროშანისებრთა ოჯახს ეკუთვნის და ამიტომ მას წყლის შროშანთა «დედოფალსაც» ეძახიან.

ვიქტორია უაღრესად უცნაური მცენარეა. 1837 წელს ინგლისელმა მოგზაურმა, ბოტანიკოსმა რიჩარდ შომბურგმა მდინარის ზედაპირზე შენიშნა მცენარეთა სამყაროში მისთვის უცნობი ყვავილი. მდინარის ზედაპირზე ამ მცენარის გაშლილი და მოტივტივე, უზარმაზარი ტაფის მსგავსი ფოთლები ახალ აღმოჩენად ჩათვალა. შომბურგი განცვიფრებაში მოსულა ამ მცენარის ყვავილებითა და ნაყოფითაც.

ვიქტორია წყლის მცენარეა. ფესვებით წყლის ფსკერზეა დამაგრებული, ხოლო ფოთლებით წყლის ზედაპირზეა მოფენილი. ვიქტორიას ფოთლის დიამეტრი ერთნახევრიდან ორ მეტრამდე აღწევს, იგი ტაფასავით მრგვალია და კიდეები ამოზნექილი აქვს. მასზე ჩიტები ცურაობენ და ტანს იბანენ. ამიტომ მას ფრინველთა «ტაფასაც» უწოდებენ.

ვიქტორიის ერთ ფოთოლს შეუძლია 75 კილოგრამი სიმძიმის ტვირთს გაუძლოს.

ვიქტორიის ტაფა-ფოთოლზე ორ ბავშვს თამამად შეუძლია მოთავსდეს და წყლის ზედაპირზე გაისეირნოს.

ვიქტორიის გიგანტური და საამო სურნელოვანი ყვავილები საღამოობით ბრწყინავენ და ანათებენ.

შროშანების დედოფლის ნაყოფი საშუალო სიდიდის ნესვის ოდენაა, მის წვნიან თესლებს საკვებად იყენებენ ამერიკაში მცხოვრები ესპანელები.

ამ არაჩვეულებრივად ლამაზი ყვავილების, საკვებად გამოსაყენებელ ნაყოფის მქონე წყლის «შროშანების დედოფლის» მოშენება-გავრცელება მსოფლიოში ბევრ ადგილას სცადეს.

ხანგრძლივი და შეუპოვარი შრომის შედეგად იგი ინგლისელმა მებაღეებმა პირველად 1849 წლის ნოემბერში ააყვავეს ჩადსფორტეში. ვიქტორია რუსეთში პირველად შემოტანილი იქნა 1864 წელს.

ჩვენში წყლის «შროშანების დედოფალი» ბევრ ადგილას ხარობს დახურულ გრუნტებში; სუბტროპიკულ ზონებში კი ღია აუზებშიც კარგად გრძნობს თავს.

როდესაც ბათუმსა და სოხუმში მოგიხდეთ გასეირნება, უსათუოდ ინახულეთ ბუნების ეს საოცრება — «შროშანების დედოფალი».

ანა ნემსაძე

თევზი ბუნჯი არ არის

საინტერესო ცდები ჩაატარა იტალიელ მეცნიერთა ექსპედიციამ 1952 წელს მეწამულ ზღვაში. დიდხანს წარმოადგენდა გამოცანას ზვიგენების ერთი ჩვეულება: როცა თევზს კლავენ, სულ რაღაც რამდენიმე წამში ზვიგენები იქვე გაჩნდებიან ხოლმე. საიდან იტყობენ ისინი თევზის სიკვდილს ასე სწრაფად? მათ არ შეუძლიათ მოკლული თევზი შორიდან დაინახონ, ვინაიდან წყლის გამჭვირვალობა მეტად უმნიშვნელოა; არ შეუძლიათ აგრეთვე ხისლის სუნი იკრან, ვინაიდან იგი არც ისე სწრაფად ვრცელდება წყალში დიდ მანძილზე.



რჩებოდა მხოლოდ ერთი მოსაზრება— ზვიგენებს ეხმით დაჭრილი თევზების „კვნესა“. მართლაც, მეცნიერები მალე დარწმუნდნენ თავიანთი მოსაზრების სისწორეში. წყალქვეშა ექსპედიციის ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელიც 12 მეტრის სიღრმეზე იმყოფებოდა, შენიშნა, რომ მისკენ მოემართებოდნენ დიდი მტაცებელი თევზები. რათა აეცდინა დარტყმა, მან იარაღი აღმართა. პოზის მკვეთრმა შეცვლამ ალბათ შეაშინა თევზები—ისინი შეხტნენ, მიბრუნდნენ და გაიქცნენ იმგვარად, თითქოს დაჭრილნი ყოფილიყვნენ. რამდენიმე წამის შემდეგ, შემთხვევის ადგილას სამი ზვიგენი გამოჩნდა. ცხადი გახდა, რომ მათ გაიგონეს შეშინებული თევზების „ყვირილი“.

ალბატროსები და მარილი

ცნობილია, რომ ალბატროსები ტყვეობას ვერ უძლებენ და ძალიან მალე იხოცებიან. აქამდე ამის მიზეზად მიაჩნდათ ის, რომ ზღვის ამ ფრინველებს უზარმაზარი ფრთები ხელს უშლით მიწაზე მოძრაობაში, თანაც მწვავედ განიცდიან თავისუფლების დაკარგვას. მაგრამ გამოირკვა შემდეგი: ალბატროსები იღუპებიან იმის შედეგად, რომ ტყვეობაში ისინი მოკლებული არიან ზღვის წყალს. ალბატროსების ცხვირის ჯირკვლები ბევრ მარილს გამოყოფენ, ამიტომ ამ ფრინველებმა ბლომად უნდა დალიონ ზღვის წყალი, რათა შეინარჩუნონ სისხლში მარილების აუცილებელი კონცენტრაცია.

რკინასავით მაგარი ხე

ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ხარობს არაჩვეულებრივი ჯიშის ხე. იგი მყვავის იანვარში, როცა სხვა ხეებს სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ ეტყობათ. მის ყვავილებს ფურცლები არ გააჩნია, მტვრიანები ზევით არის მიმართული. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ამ მცენარის ღეროს თვისებები. აზერბაიჯანელები შემთხვევით როდი ეძახიან მას „თემირ-აგაჩს“, რაც „რკინის ხეს“ ნიშნავს. თემირ-აგაჩი თავის სიმაგრით მართლაც არ ჩამოუვარდება ზოგიერთ ლითონს, მაგალითად, ალუმინსა და ჩამოსხმულ

რკინას. მისი მერქნისაგან შეიძლება დამზადდეს ლილვები, კბილანები და მანქანების სხვა ნაწილები. თემირ-აგაჩის ღეროს იმდენად მძიმეა, რომ იგი წყალში იძირება.

რკინის ხეს გამრავლების გასაოცარი თვისება აქვს. თუ გადავხერხავთ ამ ხეს, მცირე ხნის შემდეგ ჯირკი უკვე რამდენიმე ათეულ ყლორტს ამოიყრის. რკინის ხის ფესვები ხელს უწყობენ კლდოვან ადგილებში ნიადაგის გამაგრებას.

„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина.
№ 10 1961 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 5—07—43
ხსსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 5-07-43
უე 00241 ტირ. 24.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 28/IX-61 წ. სტამბის შეკვ. 1624. გამომც. შეკვ. 403. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის ბ/კ «კომუნისტი». | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. || ფასი 20 კაპ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო პიონერული ორწლედის მეორე წელი

1 ოქტომბერს, საზეიმო რადიოხაზზე, ჩვენი ქვეყნის პიონერებმა სამშობლოს, პარტიას, კომკავშირს უპატაკეს:

—პიონერული ორწლედის პირველმა წელმა წარმატებით ჩაიარა!

— ვალდებულება შესრულებულია!

საბჭოთა კავშირის პიონერთა პატაკი საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პ. პავლოვმა მიიღო.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის

ს. პ. პავლოვის

გამოსვლა 1 ოქტომბერს სრულიად საკავშირო რადიოხაზზე

ძვირფასო ბავშვებო, პიონერებო, ნორჩო ლენინელებო! დღეს თქვენ დიდი დღესასწაული გაქვთ — თქვენ აჯამებთ ორწლედის — „პიონერები — სამშობლოს“ — პირველი წლის შედეგებს. მეტად დიდმნიშვნელოვანი ამბავია, რომ თქვენი პიონერული დღესასწაული ემთხვევა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებას პარტიის ისტორიული ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დღეს ყველა საბჭოთა ადამიანი, ყოველი კომკავშირელი და ახალგაზრდა უპატაკებს სამშობლოს თავის შრომითს გამარჯვებათა შესახებ. ახლა მთელს ქვეყანაში გაისმა პატაკი პიონერიის საჩუქრებზე, რითაც იგი ხვდება პარტიის XXII ყრილობას.

ერთხელ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, წითელ მოედანზე რომ ესაუბრებოდა ბავშვებს, უთხრა:

— ბავშვებიც, ეს მზარდი პროლეტარებიც უნდა ეხმარებოდნენ რევოლუციას.

ნეტავი თქვენი თავი დაანახვა დღეს ჩვენს ძვირფას ილიჩს! როგორ გაეხარდებოდა და ესიამოვნებოდა, როცა გაიგებდა, რომ კარგი, ნებისყოფიანი ადამიანები, კომუნიზმის მშენებელთა ნამდვილი თანაშემწეები იზრდებით.

პიონერული ორწლედის პირველ წელს თქვენ მოასწარით ბევრი რამ კარგი გაგეკეთებინათ! განმტკიცდა პიონერული რაზმების კავშირი კომუნისტური შრომის ბრიგადებთან, უფრო საინტერესო და ხალისიანი გახდა შეკრებები და დღეს ჩვენ, კომკავშირელებს, გვინდა მაგრად ჩამოგართვათ თქვენი, გამრჯე პიონერული ხელი და გითხრათ: გმადლობთ, ჩვენო უმცროსო ძმებო, პიონერული ლითონისათვის და პიონერული სიმინდისათვის, ბაღებისა და ხეივნებისათვის, ყოველივე იმისათვის, რაც თქვენ გააკეთეთ.

მთავარი კი ის არის, რომ ღირსეულად ასრულებთ ლენინის ანდერძს: სწავლა, სწავლა და სწავლა!

ძვირფასო ბავშვებო! თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად იცით, რომ 17 ოქტომბერს მოსკოვში შეიკრიბება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა.

როგორც შტურმანები იკვლევენ რუკებით საიმედო და უტყუარ მარშრუტებს, ისევე ამ დიადი ყრილობის დელეგატებიც ჩვენი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მეთაურობით დასახავენ ყველაზე მართებულსა და ხალხისათვის უსაჭიროეს კურსს უახლოესი ოცწლედისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა არის კომუნიზმის გზა, ყველა ხალხთა მშვიდობის, შრომის, თავისუფლების, თანასწორობისა და ბედნიერების გზა.

საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა, ჩვენ და თქვენ, ყველაზე ნათელსა და სასიხარულო საზოგადოებას ავაშენებთ დედამიწაზე და კომუნიზმში ვიცხოვრებთ.

ძვირფასო ბავშვებო!

დღეს თქვენი ორწლედის მეორე, დამამთავრებელ წელს იწყებთ და საამისოდ კარგად უნდა ემზადოთ.

დაე, უფრო მეტი სასარგებლო საქმე გქონდეთ წელს, დაე, უფრო მხიარულად ჩაიარონ თქვენმა კოცონებმა, დაე, უფრო მეტად ისმოდეს თქვენი პიონერული სიმღერების ყღერა, დაე, უფრო მტკიცე იყოს თქვენი მეგობრობა კომუნისტებთან და კომკავშირელებთან.

ძვირფასო პიონერებო, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს! მაღლა გეჭიროთ ლენინური დროშა! ეცადეთ ლენინურად, კომუნისტურად იცხოვროთ, იმუშაოთ და ისწავლოთ!

ნორჩო პიონერებო! კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!



საქართველოს პიონერები — სკკპ XXII ყრილობას



ჩვენო მშობლიურო პარტია! საქართველოს პიონერები პარტიის XXII ყრილობის გახსნის წინა დღეებში გიპატაკებთ ჩვენი პიონერული ორწლედის პირველი წლის შედეგებზე, იმაზე, თუ როგორ ვსწავლობთ, როგორ ვშრომობთ, როგორ ვიძენთ კომუნისტური საზოგადოების ადამიანისათვის საჭირო თვისებებს.

პიონერული ორწლედის პირველ წელს ჩვენ გამოვიმუშავეთ 1.200.000 შრომადღე.

საქართველოს მეჩაიეებმა პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრეს ჩააბარონ სამშობლოს 165 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ჩვენ სიამაყით გიპატაკებთ, რომ ამ ათასებში ჩვენი წვლილიც ურევია. წელს მოვკრიფეთ 14.399 ტონა ფოთოლი.

ჩვენ ბრძოლა გამოვუცხადეთ მეჩხერიანობას. ორწლედის პირველ წელს ჩაის პლანტაციებში 440 ათასი ჩაის დახავსებული კოშტი გადავრგეთ.

ჩვენს გაშენებულ დაფნის პლანტაციებს 30 ჰექტარი უჭირავს.

ნავთსადენ „მეგობრობისათვის“ შევაგროვეთ 9.024 ტონა ჯართი.

წელს იმდენი მაკულატურა შევაგროვეთ, რომ ჩვენი გაზეთი „ნორჩი ლენინელი“ მთელი ორი წლით ვუზრუნველყავით ქაღალდით.

საქართველოს მთიან საძოვრებზე მყოფი მეცხოველეებისათვის 210 წითელი კუთხე მოვაწყეთ, 140 მოძრავი ბიბლიოთეკა შევქმენით, 300 კონცერტი გავმართეთ.

გამოვზარდეთ 56.000 წიწილა, 15.000 ბოცვერი; სახელმწიფოს ჩავაბარეთ 135.000 კგ აბრეშუმის პარკი, 534.000 კგ გარეული ხილი, 31.000 კგ სამკურნალო ბალახი და მცენარე.

იბეჭდება შემოკლებით.

ჩვენი რესპუბლიკის უმრავლეს სკოლაში შექმნილია მეფუტკრეობის პატარა მეურნეობები, რომლებშიც დღეისათვის უკვე 3009 სკა არის.

საქართველოს პიონერები „მინდვრის დედოფლის“ მეგობრები ვართ. ეს კულტურა 3440 ჰექტარზე მოგვყავს.

ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის რჩევით წელს 104.664 ძირი კაკალი დავრგეთ. ამ საქმეში თავი ისახელეს გურჯაანელმა და ცაგერელმა პიონერებმა.

ჩვენ ნორჩი ლენინელები გვქვია. ეს კი გვავალებს ილიჩისებურად ვიცხოვროთ, ვისწავლოთ და ვიმუშაოთ. ვსწავლობთ ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ წარსულს, დიდი ლენინის ცხოვრება-მოღვაწეობას. რესპუბლიკის სკოლებში მოწყობილია 221 ლენინის ოთახი და 2870 ლენინის კუთხე.

„არც ერთი ჩამორჩენილი პიონერი არ უნდა იყოს სწავლაში! არც ერთი პიონერი არ უნდა დარჩეს საინტერესო საქმის გარეშე!“ ლენინგრადელ პიონერთა ეს მოწოდება ჩვენი დევიზი გახდა. 1697 რაზმმა და რაზმეულმა მოიპოვა „შვიდწლედის თანამგზავრის“ სახელწოდება.

ძვირფასო პარტია! ჩვენი პატაკი მოგითხრობთ იმას, თუ რა გავაკეთეთ ორწლედის ერთი წლის მანძილზე. წინ კიდევ ბევრი ამოცანა გვაქვს შესასრულებელი. ამ პატაკთან ერთად საქართველოს პიონერები საზეიმო დაპირებას ვიძლევით: ღირსეულად შევასრულებთ ჩვენს სიტყვას, კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენს რიგებს, უფრო მაღლა აღვმართავთ მეგობრობის დროშას და მუდამ გვემახსოვრება, რომ ჩვენ ვართ ის თაობა, რომელმაც უნდა ააშენოს და იცხოვროს კომუნიზმში.

საქართველოს ნორჩ პიონერთა შტაბი.



ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. ქალაქი საქართველოში; 3. ბუნების მოვლენა; 4. მოზელილი ფქვილი; 5. ხის ჯიში; 7. გარეული ცხოველი; 9. თევზსაჭერი; 10. კურორტი შავი ზღვის პირას; 12. ოპერა; 15. ქალაქი ბელორუსიაში; 16. ყაზახი მწერალი; 18. ავტონომიური რესპუბლიკა; 19. ჭურჭლის თავსახური; 20. წყლული. ჭრილობა; 21. მდ. საქართველოში; 23. მდ. რუსეთში; 24. სამკურნალო მცენარე; 25. რიცხვი.

ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. ტრანსპორტის სახე; 2. ცნობილი ქართველი მწერლის სახელი; 4. სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 6. აზრი ანუ... 8. მომწამლავი გაზი; 9. ფუნთუშეული; 10. მდ. საფრანგეთში; 11. საოჯახო ჭურჭელი; 13. მშვიდობისათვის მებრძოლი იაპონელი; 14. დედნის პირი; 17. შინაური ფრინველი; 18. ბოსტნეული; 22. „ოტელოს“ პერსონაჟი; 23. ხელისგული.

შეადგინა **პ. თავართქილაძემ**

ᲐᲑᲐ, ᲡᲪᲐᲓᲔᲗ!

თქვენს წინაშეა წრეების ოთხი ჯგუფი. თითოეულ ჯგუფში ოთხი პატარა წრეა; ყოველ მათგანში უნდა ჩაიწეროს საპოვნი სიტყვის თითო ასო ისრით ნაჩვენები მიმართულებით.

1. თქმულება, გადმოცემა; 2. ქალის სახელი; 3. ხმლის ნაწილი; 4. შეხედულება ანუ...

სიტყვების სწორად შერჩევის შემთხვევაში, დიდი წრით შემოფარგლულ პატარა წრეებში წაიკითხავთ პიონერულ პასუხს მოწოდებაზე.

ნ. კლდიაშვილი



ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

1.

სახლი ხმაურობს, ბინადარნი
ჩუმად არიან,
იმ სახლისაკენ ვიღაცა კაცს
მიუხარია.
ჰოდა, იმ კაცმა ბინადარნი
თან წაიყვანა,
სახლი გადაძვრა ფანჯრებიდან
და გაიპარა.

2.

მწვანე, ხასხასა მდელოზე
ჩამწკრივებულან დები,
აქვთ ოქროსფერი თვალები
და თეთრი წამწამები.

3.

მდიდარი არის კბილებით,
სწრაფად ღრღნის, წვრილად
ფქვავს,
ფქვავს, მაგრამ თვითონ არ
ყლაპავს,
შენც ხომ ნახული გაქვს.

შ. ამირანაშვილი

4.

სამუშაოს როცა ვიწყებ,
მაშინ ავჭრიჭინდები,
სუყველაზე უფრო მეტად
თერძს და დალაქს ვჭირდები.

გ. ჭიჭინაძე

ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

სოროდან ამომძვრალმა ჭიანჭველამ 30 მეტრი გაიარა; იპოვა მისთვის საჭირო საკვები, ზურგზე აიკიდა და უკან დაბრუნდა. სამი მეტრი რომ გაიარა, კიდეც შემოაღამდა, გზა აებნა და ორი მეტრით უკან დაბრუნდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე. რამდენ დღეში მიაღწევდა ჭიანჭველა სოროამდე?

გ. გველესიანი

ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

აქ მოცემული ფიგურა საჭიროა გაიყოს ექვს ტოლ ნაწილად.

გ. კოპაძე,
თბილისის 53-ე საშ. სკოლის მოსწავლე.



ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. ბულდოზერი; 2. რადიატორი; 3. იტალია; 4. ბელგია; 7. სახლი; 8. შვეულმფრენი; 9. აჩაჩა; 14. ალუბალი; 15. ნამგალი; 17. შანდალი; 18. ნარგიზი; 19. კარავი; 20. ცხვარი.

ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 5. ბალეტი; 6. ხენდრო; 10. მარაო; 11. ალუჩა; 12. ირემი; 13. ლაინერი; 16. შოშანა; 21. სამფეხა; 22. კაკალი; 23. აკაციი; 24. სვინტრი.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

1. ირემი; 2 კატა.

გარეკანის 1-ელ გვერდზე—„გაზი მოვიდა“, ნახ. რ. ცუცქირიძისა;

მე-2 და მე-4 გვერდების მხატვრობა ეკუთვნის თ. სამსონაძეს.

6 73/325

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცეკვე!
 პიონერი
იცეკვე!
 პიონერი
იცეკვე!
ეს
ჟურნალი
„პიონერი"
1962
წლისათვის!
ეს
ჟურნალი
გამოინერეკე
ეს
ჟურნალი
გამოინერეკე
ეს
ჟურნალი
გამოინერეკე